1948

უფასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეთერთმეტე

№ 9—10 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1948 г.

შინაარსი

გვ.

1. ბრძანება № 2141—რუსული ენის კურსების მუშაობის შესახებ 2
2. ბრძანება № 2301-ა—მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა საშუალო სკოლებში 1947-48 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ 5
3. ბრძანება № 2882—სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში 1947-48 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ 14
4. ბრძანება № 2838—ბორჯომის, საჩხერის და ჭიათურის რაიონებში ბავშვთა მეურვეობის შესახებ 27
5. ბრძანება № 2551—საბავშვო სახლებში 1947-48 სასწავლო წელში სასწავლო მუშაობის შედეგებისა და მომავალ სასწავლო წელში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 29
6. ღონისძიებანი სასწავლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საბავშვო სახლებში 1948-49 სასწავლო წელში 32
7. საინსტრუქციო მითითება მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის შრომის ორგანიზაციის შესახებ საბავშვო ბაღში 35
8. ბრძანება № 3012—მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდობის გაგზავნის შესახებ 42
9. ბრძანება № 3119—საქართველოს ზოგიერთ რაიონებში 1948-49 სასწავლო წლის პირველი დღეების მიმდინარეობის შესახებ 44
10. ბრძანება № 3240—გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ 50

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2141

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წელი 31 ივლისი

რუსული ენის კურსების მუშაობის შესახებ

გავეცანი რა მასალებს რუსული ენის კურსების მუშაობის წლიური შედეგების შესახებ, აღვნიშნავ, რომ რუსული ენის კურსებმა სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. კურსებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია რუსული ენის შესწავლის მსურველთ. კურსებზე ჩაბმულმა პარტიულმა და საბჭოთა აქტივმა, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლებმა, ადგილობრივი ორგანოების მუშაკებმა უმრავლეს შემთხვევაში წარმატებით აითვისეს პრაქტიკული სალაპარაკო ენა. სახალხო განათლების ორგანოებმა უზრუნველჰყვეს კურსები ბინებით, მოწყობილობით, განათება-გათბობით. კურსები უზრუნველყოფილი იყო რუსული ენის მცოდნე საუკეთესო მასწავლებელთა კადრებით, რომელთა ენერგიული მუშაობის შედეგად მიღწეულია თვალსაჩინო წარმატება რუსული ენის დაუფლების საქმეში.

კურსების მუშაობაში ადგილი ჰქონდა ზოგ მნიშვნელოვან ნაკლოვანებას. ქ. თბილისის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილებამ ვერ შესძლო კურსების ქსელის მთლიანად ათვისება: გეგმით გათვალისწინებული 45 ჯგუფის ნაცვლად ჩამოყალიბებულია 44 ჯგუფი. ასეთივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა ხაშურის რაიონში, სადაც მსმენელთა განთესვის გამო ოთხი პირველდაწყებითი ჯგუფიდან დარჩა ორი ჯგუფი.

ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ ვერ შესძლო სწავლაში ჩაბმულ მსმენელთა კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნება და ზოგან ადგილი ჰქონდა მსმენელთა ნაწილის განთესვას. მაგალითად, ზესტაფონის რაიონში 30 მსმენელიდან წლის განმავლობაში განთესილია 6 კაცი, ტყიბულის რაიონში 29 მსმენელიდან განთესილია 11 კაცი, სიღნაღის რაიონში—24-დან 7 კაცი, ამბროლაურის რაიონში—16-დან 7 კაცი, თეთრიწყაროს

რაიონში—10-დან 5 მსმენელი და ა. შ. მსმენელთა განთესვა გამოწვეული იყო უმთავრესად იმ გარემოებით, რომ მეცადინეობის დასაწყისში დაკომპლექტების საქმეში დაშვებული იყო შეცდომები და მსმენელებად შერჩეულნი იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც მეცადინეობაზე რეგულარულად დასწრების საშუალება არ ჰქონდათ.

ზოგ რაიონში დროულად არ იყო ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა და ამის გამო მეცადინეობა დაგვიანებით დაიწყო. მაგალითად, ქუთაისის რაიონში მეცადინეობა დაიწყო 15 სექტემბერს, ნაცვლად 1 სექტემბრისა, ზუგდიდის რაიონში ერთ ჯგუფში-5 სექტემბერს, მეორე ჯგუფში კი-25 სექტემბერს, ხოლო ცხაკაიას რაიონში მეცადინეობა კურსებზე დაიწყო თვენახევარზე მეტის დაგვიანებით, სახელდობრ 20 ოქტომბერს.

კურსების მუშაობის ყველაზე სუსტ მხარეს სასწავლო წლის მანძილზე შეადგენდა მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები, რამაც განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო დეკემბერ-იანვრის განმავლობაში, როდესაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით ადგილებზე მიმაგრებული მუშაკები ხანგრძლივი დროის განმავლობაში აცდენდნენ მეცადინეობას. განსაკუთრებით ხშირ გაცდენებს ადგილი ჰქონდა ტყიბულის, ქუთაისის, ზუგდიდის რაიონებში, აჭარის ასსრ-ში, ხოლო სიღნაღის რაიონში ხშირმა გაცდენამ გამოიწვია მეცადინეობის ჩაშლის არა ერთი შემთხვევა.

მეცადინეობის გაცდენებს შედეგად მოჰყვა ჩამორჩენა პროგრამის გავლაში. ამასთან დაკავშირებით ზოგ ადგილას გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა დაგვიანებით, ხოლო ზოგან იგი შემოდგომისათვის გადაიდო. მაგალითად, ამბროლაურის რაიონში მეცადინეობა გაგრძელდა 5 ივნისამდე, გამოცდები კი ჩატარდა 7—9 ივნისს. ორჯონიკიძის რაიონში გამოცდები ჩატარდა ივლისში. საპროგრამო მასალების გაუვლელობის გამო გამოცდები არ ჩატარებულა ქობულეთის, ხულოს, ცხაკაიას, აბაშის, ზუგდიდისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

რუსული ენის კურსების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები, რომლებსაც პირადათ ჰქონდათ დავალებული აღნიშნულ კურსებზე ხელმძღვანელობა, ზოგ შემთხვევაში საკმაო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ კურსების მუშაობას, არ უწევდნენ მათ პრაქტიკულ დახმარებას და დროულად არ აყენებდნენ სათანადო ორგანოებში საკითხს კურსების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ.

ᲒᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑ:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეებს:

ა) მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე დაამთავრონ მთელი მოსამზადებელი მუშაობა, ზუსტად აღრიცხონ რუსული ენის შესწავლის მსურველთა კონტინგენტი და უზრუნველჰყონ კურსებზე სწავლის დაწყება 1 სექტემბერს.

ბ) რუსული ენის კურსების დებულების საფუძველზე დააკომპლექტონ ჯგუფები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით, მსმენელთა სათანადო ჯგუფებში ჩარიცხვა აწარმოონ წინასწარი შემოწმების საფუძველზე.

გ) შეინარჩუნონ მასწავლებელთა კადრები, რომლებმაც 1947-48 სასწავლო წელს შესძლეს მეცადინეობის სათანადო დონეზე დაყენება და სასწავლო პროცესის მიზანშეწონილი ორგანიზაცია.

დ) ახლად ჩამოყალიბებულ ჯგუფებისათვის შეარჩიონ კვალიფიციური, გამოცდილი და რუსული ენის სწავლებისა და მოზრდილებთან მუშაობის მეთოდებს დაუფლებული მასწავლებლები.

ე) დროულად მიიღონ ზომები რუსული ენის კურსების უზრუნველსაყოფად შესაფერისი ბინებით, საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით, აგრეთვე კურსების მოსამარაგებლად სახელმძღვანელოებითა და ნივთებით.

ვ) სისტემატურად უხელმძღვანელონ რუსული ენის კურსების მუშაობას, გაუწიონ მათ ყოველდღიური დახმარება პრაქტიკულ მუშაობაში და უზრუნველჰყონ კურსების შეუფერხებელი და ნაყოფიერი მუშაობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი Ვ. ᲙᲣᲞᲠᲐᲫᲔ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2301-ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 10 აგვისტო

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა საშუალო სკოლებში 1947-48 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ

1947-48 სასწავლო წლის განმავლობაში რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა საშუალო სკოლების მუშაობის შემოწმებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ 1947-48 სასწავლო წელი ამ სკოლებში, გასულ წელთან შედარებით, უკეთესი მაჩვენებლებით დამთავრდა.

აღნიშნულ სკოლების უმრავლესობამ, სახალხო განათლების ადგილობრივ განყოფილებათა ხელმძღვანელობითა და პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ქმედითი დახმარებით, გეგმიანად წარმართა თავისი საქმიანობა, რის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე. დროულად გაიშალა ამ სკოლებში აგრეთვე მუშაობა სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით გამოსაშვები და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ჩასატარებლად.

აღნიშნული სკოლები უზრუნველყოფილი იყო კვალიფიციური მასწავლებლებით, მომარაგებული იყო სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სასწავლო მოწყობილობით, უზრუნველყოფილი იყო გათბობითა და განათებით. სასწავლო წლის დაწყების პირველ დღიდანვე სკოლებს შედგენილი ჰქონდათ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წლიური გეგმები, აგრეთვე სამუშაო გეგმები ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში, სათანადოდ იყო დაყენებული მოსწავლეთა დასწრებისა და წარმატების აღრიცხვის საქმე, სასკოლო დოკუმენტაცია და მოსწავლეთა პირადი საქმეები უმრავლეს შემთხვევაში წესრიგში იყო მოყვანილი. აღნიშნულის შედეგად ამ

სკოლებში ნორმალურად მიმდინარეობდა პროგრამებით გათვალისწინებული მასალების გავლა და შეთვისება.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, მაგალითად, თბილისის № 5 (დირ. დ. ზვიადაძე) № 11 (დირ. ა. ფოჩხუა) და № 7 (დირ. ტ. მაღლაფერიძე), ფოთის (დირ. ა. ტუღუში), წულუკიძის (დირ. ა. მანაგაძე), ბორჯომის (დირ. ხ. ოგანეზოვი) და სხვა მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლები, თელავის, ქუთაისის მოზრდილთა სკოლები, სადაც უზრუნველყოფილი იყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხარისხი, მხედველობაში იყო მიღებული თითოეული მოსწავლის ასაკობრივი და საყოფაცხოვრებო პირობები, აგრეთვე მისი ინდივიდუალური თავისებურებანი და ა. შ.

ზემოაღნიშნულისა და ზოგიერთ სხვა სკოლების მასწავლებლები აწარმოებდნენ გეგმიან მუშაობას განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების და მეთოდურ მითითებათა საფუძველზე, სისტემატურად მუშაობდნენ თავიანთი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გულდასმით ემზადებოდნენ გაკვეთილებისათვის, ფართოდ იყენებდნენ თვალსაჩინოებას, პროგრამული მასალის გავლა-დამუშავებისას ითვალისწინებდნენ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის სპეციფიურობას და ყოველდღიურ მუშაობაში მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა დიდაქტიკის ძირითადი პრინციპებით. ასეთებია, მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ამხ. ამხ. ა. კვასხვაძე, დ. ზვიადაძე, დ. კუბლაშვილი, მ. თევზაძე (თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 5,3 და 2 სკოლები), კ. მიქელაძე, ს. სოფრომაძე (ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის №№ 2 და 1 სკოლები), ნ. იოსელიანი (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), გ. ლორთქიფანიძე (ქუთაისის მოზრდილთა სკოლა), თ. მწყერაძე, გ. ქართველიშვილი (თელავის მოზრდილთა სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ამხ. ამხ, ტ. დეღლოვა, ნ. კაპანაძე, ბ. წიფურია, ალ. ჭანკიევი (თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 9,1,5 და 6 სკოლები), ვ. აბულაძე და ა. ბოდოკია (ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის №№ 2 და 1 სკოლები), ე. პოკაჩეი (ფოთის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ს. ქუთათელაძე, (გეგეჭკორის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ი. არსენიშვილი (ქუთაისის მოზრდილთა სკოლა), თ. თურქესტანიშვილი (თელავის მოზრდილთა სკოლა); მათემატიკის მასწავლებლები ამხ. ამხ. ნ. კიკვაძე, ჭიჭინაძე, საყვარელიძე (თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 5,4 და 3 სკოლები), დ. ცირეკიძე და ვლ. დევიძე (ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის №№ 2 და 1 სკოლები), კ. ბრეგვა-

ძე და ა. ბოჭორიშვილი (ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ბ. თევდორაძე (ქუთაისის მოზრდილთა სკოლა), ალ მატინოვა (თელავის მოზრდილთა სკოლა); ფიზიკის მასწავლებლები ამხ. ბ. მაღლაფერიძე, პ. მორჩილაძე, მ. აბაიშვილი (თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 7,1 და 5 სკოლები), ვლ. ხოტივარი (ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 2 სკოლა), ა. ჩარგეიშვილი (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლა); ქიმიის მასწავლებელი ამხ. ს. ტაბიძე (თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 5 სკოლა), ისტორიის მასწავლებლები მ. ყარაულაშვილი და შ. გიგაური (თელავის მოზრდილთა სკოლა) და სხვა.

ამ სკოლების მიერ მოპოვებული წარმატებანი მუშა ახალგაზრდობის და მოზრდილთა სწავლა-აღზრდის საქმეში, ერთის მხრით, შედეგია სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ყოველდღიური მზრუნველობისა და ხელმძღვანელობისა, ხოლო, მეორეს მხრით, ადგილობრივ საწარმოთა ადმინისტრაციისა და პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების ქმედითი დახმარებისა, რაც გამოიხატა სკოლებისათვის საოანადო, მატერიალური ბაზისა და მათი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაში. ამ მხრივ აღსანიშნავია წულუკიძის ძაფსახვევი ფაბრიკის ადმინისტრაციის (დირექტორი ამხ. ვლ. მონიავა) დახმარება და მზრუნველობა წულუკიწის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცების, განათებითა და გათბობით, საჭირო ინვენტარით მისი უზრუნველყოფის, ფაბრიკიდან სწავლებაში ჩაბმული მუშა ახალგაზრდობის საზეგანაკვეთო სამუშაოებისაგან განტვირთვის, მოსწავლეთა განთესვისა და მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევათა აღკვეთის საქმეში და ა. შ. მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანასთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის სკოლას ამ ქარხნის ადმინისტრაციამ, რომელმაც ცალკე შენობა აუგო ამ სკოლას და შეუქმნა მას საკმაოდ მტკიცე მატერიალური ბაზა. სკოლის დირექციის შუამდგომლობითა და მოთხოვნით, სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევათა აღკვეთის მიზნით, ფეროშენადნობ ქარხანაში მომუშავე ახალგაზრდობა გადაყვანილ იქნა საოანადო ცვლაში და ამით შესაძლებლობა მიეცა მეცადინეობაზე დასწრებისა და მიცემულ დავალებათა შესრულებისა.

ანალოგიური დახმარება გაუწია მუშა ახალგაზრდობის სკოლებს თბილისის აბრეშუმის ფაბრიკისა და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ხელმძღვანელობამ სასკოლო შენობის რემონტით, სასკოლო ინვენტარის შეძენითა და შეკეთებით, სწავლებაში ჩაბმულ

მუშა ახალგაზრდობის საზეგანაკვეთო სამუშაოთაგან განტვირთვით და ა. შ.

ამასთან ერთად რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა რიგი სკოლების მუშაობაში ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. ზოგიერთი მათგანი უზრუნველყოფილი არ იყო შენობით, გათბობა-განათებით, სასკოლო ინვენტარითა და სასწავლო კაბინეტებით, სათანადოდ მოწესრიგებული არ იყო მოსწავლეთა კონტინგენტის აღრიცხვის, სწავლაში ჩაბმისა და სასწავლო წლის ბოლომდე მისი შენარჩუნების, მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრებისა და სხვა საკითხები. მაგალითად, თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 1 საშ. სკოლა 1947-48 სასწავლო წლამდე მოთავსებული იყო 26 კომისრის სახელობის ქარხანასთან (ქარხნის დირექტორი ამხ. მელაძე), ხოლო მეორე წელს ქარხნის დირექციამ სკოლა გაასახლა მისთვის დათმობილი შენობებიდან, რასაც შედეგად მოყვა ამ სკოლის ლიკვიდაცია. ანალოგიურად მოიქცა თბილისის მაუდის ფაბრიკის ადმინისტრაცია, რომელმაც ფაბრიკის ტერიტორიიდან გამოასახლა მუშა ახალგაზრდობის № 4 სკოლა და ამჟამად იგი მოთავსებულია ქალთა № 15 საშუალო სკოლის შენობაში.

სასკოლო შენობის ვარგისობისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 8 სკოლაში. სკოლა დღემდე არ არის უზრუნველყოფილი სათანადო შენობით, გათბობა-განათებით, საჭირო დგამებითა და სასკოლო ინვენტარით. ამ ნიადაგზე გასულ წელს დაბრკოლებას ჰქონდა ადგილი თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 2 და 9 სკოლებში, გურჯაანის რაიონის ველისციხის მოზრდილთა სკოლაში და სხვა.

განსაკუთრებით მოუწესრიგებელი იყო მუშა ახალგაზრდობის აღრიცხვის, სწავლაში ჩაბმისა და სასწავლო წლის ბოლომდე ამ კონტინგენტის სკოლაში შენარჩუნების საკითხი. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცალკეულ წარმოებებში 1947-48 სასწავლო წლის დასაწყისში აღრიცხული იყო სწავლაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტი 504 კაცის რაოდენობით. ამათგან სკოლაში ჩარიცხული იქნა 150 ახალგაზრდა, რომელთაგან სასწავლო წლის დასაწყისში საჟურნალო აღრიცხვის მიხედვით მეცადინეობას ესწრებოდა 105 მოსწავლე, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს კი სკოლას შერჩა მხოლოდ 65 მოსწავლე. სკოლიდან მოსწავლეთა განოესვის შედეგად 1947-48 სასწავლო წლის განმავლობაში დაიხუ-

რა ამ სკოლის ქართული მე-5, მე-6 და მე-7 კლასები და რუსული სექ-
ტორის მე-4 (მოსამზადებელი) კლასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო ამავე სკოლაში მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება. საჟურნალო აღრიცხვის მიხედვითაც
ი რიგ ზეკითხვებიცალკეულ კლასებში მეცადინეობას ესწრებოდა
მოსწავლეთა უმნიშვნელო რაოდენობა. მაგალითად, გასულ წლის 29
და 30 სექტემბერს, 1,2 და 3 ოქტომბერს რუსული სექტორის
მე-8 კლასში მეცადინეობას ესწრებოდა მხოლოდ 2 ან 3 მოსწავლე.

საქართველოს ალკკ ც. კ-ისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მიღებული დადგენილებებისა და გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, რუსთავის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მუშაობაში სასწავლო წლის ბოლომდე არ მომხდარა არსებითი ხასიათის გარდატეხა, ხოლო სახალხო განათლებისა და ალკკ ადგილობრივ ორგანოებს არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნა ამ სკოლის მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

მუშა ახალგაზრდობის სასკოლო კონტინგენტის აღრიცხვისა და სწავლაში ჩაბმის თვალსაზრისით ანალოგიური მდგომარეობა იყო ფოთის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში. მაგალითად, ქარხნისა და ნავსადგურის სამმართველოს საწარმოთა ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების გულგრილი დამოკიდებულების შედეგად ამ საწარმოებში გაერთიანებულ 500-მდე საშუალო სკოლადაუმთავრებელ ახალგაზრდიდან სწავლაში ჩაება მცირე რაოდენობა. ამასთანავე სწავლაში ჩაბმული ახალგაზრდობიდან სასწავლო წლის ბოლომდე განითესა ერთიმესამედი (1947-48 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ირიცხებოდა 155, ხოლო სასწავლო წლის დასასრულს 98 მოსწავლე).

მუშა ახალგაზრდობის კონტინგენტი ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში, გასული წლის ჩატარებული წინასწარი აღრიცხვის მიხედვით, 500-დე ახალგაზრდას აღწევდა, მაგრამ სწავლაში ჩაბმული იყო მხოლოდ 50 ახალგაზრდა...

ანალოგიური მდგომარეობა იყო თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 8, № 4 (მაუდის ფაბრიკასთან) და № 12 (აეროპორტთან) სკოლებში. საერთოდ, რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში გასულ 1947-48 სასწავლო წლის მანძილზე განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა 1140 კაცს აღწევს. მოსწავლეთა განთესვას ადგილი ჰქონდა აგრეთვე მოზრდილთა სკოლებშიც.

მუშა ახალგაზრდობის სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვისა და მეცადინეობაზე მოსწავლეთა სისტემატური დაუსწრებლობის მიზეზად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები არ ზრუნავენ სწავლაში ჩაბმულ მუშა ახალგაზრდობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, თავის დროზე არ ათავისუფლებენ მათ სამუშაოდან; რიგ შემთხვევაში, პირიქით, ხელს უშლიან სკოლას და სწავლაში ჩაბმულ ახალგაზრდობას ნორმალური მეცადინეობის ჩატარებაში და ამით ხელს უწყობენ მოსწავლეთა აკადემიურ წარუმატებულობას და, საბოლოოდ, სკოლიდან მათს განთესვას. მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის საბინაო განყოფილების უფროსმა ამხ. ვარდოსანიძემ მრავალჯერ აიძულა მოსწავლეები ცვლების გადაბმით ემუშავნათ, რასაც შედეგად მოყვა მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის სისტემატური გაცდენა. კერძოდ გასულ 1947-48 სასწავლო წელს ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 5693 საათი. ანალოგიური მდგომარეობა იყო ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში, სადაც მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის გაცდენა გამოწვეული იყო მაღაროებში სამუშაოს გრაფიკის ხშირი დარღვევით და ცალკეული ცვლების უფროსების (ამხ. ამხ. ცუცქირიძე, კუპრეიშვილი და სხვ.) მიერ მუშა მოსწავლეთა საზეგანაკვეთო სამუშაოთი დატვირთვით.

სკოლის მოსწავლეთა საზეგანაკვეთო სამუშაოთ დატვირთვას და ამის შედეგად მოსწავლეთა მეცადინეობაზე დაუსწრებლობასა და განთესვას გასულ წელს ადგილი ჰქონდა აგრეთვე თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის № 11 სკოლაში, სადაც, 1947 წლის დასასრულს, ფაბრიკის წლიური გეგმის შაუსრულებლობასთან დაკავშირებით, ფაბრიკის ადმინისტრაცია საზეგანაკვეთო სამუშაოთი ტვირთავდა ფაბრიკაში გაერთიანებულ მუშა ახალგაზრდობას და პრემიალური დაჯილდოების წესის შემოღებით ახალისებდა მათ ამ სამუშაოთა შესასრულებლად. მაგალითად ამ სკოლის მე-6 კლასის მოსწავლენი ლ. ლეკიშვილი, გ. თუმანიშვილი, მ. ნაკაიძე, მე-7 კლასის მოსწავლენი პ. გიორგაძე, ე. მიქაბერიძე, ლ. იმერლიშვილი და სხვ. სისტემატურად იტვირთებოდნენ საზეგანაკვეთო სამუშაოთი, რის შედეგად მოკლებული იყვნენ მეცადინეობაზე რეგულარულად დასწრების შესაძლებლობას და ჩამორჩნენ სწავლას. ამ მიზეზით 1947-48 სასწავლო წელს სკოლას ჩამოშორდა 50 მოსწავლე.

ყველა ზემოაღნიშნულმა ნაკლოვანებამ თავისი დაღი დაასვა მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების სასწავლო-სა-

აღმზრდელო მუშაობას და საგრძნობლად დააბრკოლა მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სწავლა-განათლების საქმე. ეს გარემოება უეჭველად შედეგია აგრეთვე სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სკოლების დირექციისა და მასწავლებელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა, რადგან ისინი დროულად არ იღებდნენ ყველა საჭირო ზომას მუშა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებამ და სახალხო განათლების ყველა საქალაქო (სარაიონო) განყოფილების გამგეებმა 1948-49 სასწავლო წელს მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დროულად ჩაატარონ მუშა ახალგაზრდობის სასკოლო კონტინგენტის და მოზრდილთა ზუსტი აღრიცხვა და სწავლაში მათი ჩაბმის უზრუნველსაყოფად მჭიდრო კავშირი იქონიონ ადგილობრივ საწარმოთა ხელმძღვანელობასთან და პარტიულ-კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან;

ბ) მთავრობის დადგენილების შესაბამისად თავის დროზე მიიღონ გადამჭრელი ზომები მუშა-ახალგაზრდობის სკოლების სათანადო ბინით, გათბობა-განათებით, სასკოლო ინვენტარითა და სასწავლო მოწყობილობით უზრუნველსაყოფად;

გ) მოამარაგონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მოსწავლენი სახელმძღვანელოებითა და რვეულებით, მასობრივი სკოლების მოსწავლეთა თანაბრად;

დ) შეუქმნან მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებს ყოველგვარი პირობა ნორმალური მუშაობისათვის, შეამოწმონ აღნიშნულ სკოლებზე ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან გაწეული დახმარება და ხელშეწყობის მდგომარეობა, გაატარონ ეფექტური ღონისძიებანი ამ სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის, საზეგანაკვეთო სამუშაოთი მათი დატვირთვის შემთხვევათა წინააღმდეგ, საჭიროების შემთხვევაში დასვან საკითხი ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში სათანადო ღონისძიებათა დასასახავად და გასატარებლად:

ე) სასწავლო წლის დასაწყისში მოიწვიონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების დირექტორებისა და მასწავლებელთა თათბირი, სადაც განიხილონ ამ სკოლების სასწავლო გეგმა,

პროგრამები და მეთოდური მითითებანი მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მუშაობის სპეციფიკის საკითხებზე, დამდგ სასწავლო წელს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის ამაღლების უზრუნველსაყოფად კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვით;

ვ) გაუწიონ ზაფხულის პერიოდში საჭირო დახმარება საშემოდგომო გამოცდების მქონე მოსწავლეებს სათანადო კონსულტაციის სისტემატური ჩატარებით, არ დაუშვან მასობრივი სკოლებიდან აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა მუშა ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლებში ჩარიცხვა;

გ) გააძლიერონ ოპერატიული ხელმძღვანელობა და გაუწიონ სათანადო კონტროლი მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებს, სისტემატურად შეამოწმონ მათი მუშაობა და შემოწმების საფუძველზე მისცენ მათ კონკრეტული მითითებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების დირექტორებმა:

ა) დროულად დაიწყონ სამზადისი ახალი სასწავლო წლისათვის, სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო დოკუმენტაცია და, კერძოდ, მოსწავლეთა პირადი საქმეები, ამ სკოლების შესახებ არსებული დებულების შესაბამისად;

ბ) განამტკიცონ სკოლაში გეგმიანი მუშაობა; სისტემატურად შეამოწმონ ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში პროგრამებით გათვალისწინებული მასალის გავლის მდგომარეობა და მოსწავლეთა აკადემიური მომზადება, შემოწმების შედეგების პედსაბჭოს სხდომაზე განხილვითა და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვით, მიიღონ ეფექტური ზომები მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლების უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველჰყონ სკოლაში ჩამოყალიბებულ საგნობრივ მეთოდური კომისიების შეუფერხებელი მუშაობა, რომელთა სხდომებზე სისტემატურად განიხილონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში სწავლების მეთოდიკის საკითხები;

დ) მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით მეცადინეობის გაცდენის შემთხვევათა აღსაკვეთად, დააწესონ ზუსტი კონტროლი საკლასო ჟურნალების წარმოებაზე და, საერთოდ, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების, მოვლისა და დაცვის წესების უზრუნველსაყოფად.

3. მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მასწავლებლებმა:

ა) შეადგინონ და იქონიონ წლიური და სამუშაო კალენდარული და გაკვეთილის გეგმები, ჩაატარონ წერითი სამუშაოები დადგენილი ნორმით, გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები, როგორც წერითი, ისე ზეპირ მეცადინეობაში დაშვებულ შეცდომებზე ყურადღების გამახვილებით, ზუსტად შეაფასონ მოსწავლეთა ცოდნა და სისტემატური კონსულტაციით უზრუნველჰყონ პროგრამული მასალის მთლიანად და სათანადოდ გავლა;

ბ) ყველა გაკვეთილზე აწარმოონ გავლილი მასალის გამეორება, მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასება და ამ შეფასების საკლასო ჟურნალში შეტანა, სისტემატურად აწარმოონ გაკვეთილებზე ცდების დემონსტრირება თვალსაჩინო დიდაქტიკური ხელსაწყოების ფართო გამოყენებით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ვ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2882

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 16 სექტემბერი

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში 1947-48 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ

1947-48 სასწავლო წლის მანძილზე სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის შემოწმებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ 1947-48 სასწავლო წელი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში, გასულ წელთან შედარებით, უკეთესი მაჩვენებლებით დამთავრდა.

რესპუბლიკის რიგი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 6 ივლისის ინსტრუქციის შესაბამისად, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაატარეს 1947-48 სასწავლო წლის მომზადებულად შესახვედრად, რისთვისაც დროულად აღრიცხეს და ჩააბეს სწავლაში სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა, კონკრეტული ხელმძღვანელობითა და სისტემატური დახმარებით ხელი შეუწყვეს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვის საქმეში. 1947-48 სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში ჩაბმული იყო 24.000-მდე ახალგაზრდა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 500-ზე მეტ სკოლაში 2.500-მდე კლასით.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ქმედითი დახმარებითა და ხელმძღვანელობით სახალხო განათლების საარაიონო განყოფილებათა უმრავლესობამ დროულად გაშალა მუშაობა სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით გამოსაშვები და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ჩასატარებლად. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად 1947-48 სასწავლო წლის დასასრულს რესპუბლიკაში სოფლის ახალგაზრდობის საღა-

ბოს რვაწლიანი სკოლა დაამთავრა 2151 მოსწავლემ, ხოლო დაწყებითი სკოლა 1935 კაცმა, გადაყვანილია შემდეგ კლასში 9764 მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზებულად და სათანადო სიმაღლეზე დაყენების შედეგად რიგი რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებმა გეგმიანად წარმართეს თავიანთი მუშაობა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ამ სკოლების მუშაობასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ სიძნელეთა გადალახვაში. საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა შორეულ სამუშაოზე გაგზავნის, მოსწავლეთა განთესვისა და მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები. პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, აგრეთვე სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები სისტემატურად ისმენდნენ მოხსენებებს სკოლების მუშაობაზე სათანადო ღონისძიებათა დასახვით, ეხმარებოდნენ სკოლებს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, იღებდნენ ზომებს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენისა და სკოლებიდან ჩამოშორების შემთხვევათა აღსაკვეთად.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებისადმი სისტემატური დახმარების, სწავლაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისა, სკოლების გათბობა-განათებითა და საჭირო მოწყობილობით უზრუნველყოფის საქმეში 1947-48 სასწავლო წლის მანძილზე გამოირჩეოდნენ აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფ. მერხეულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. ბერია, ოჩამჩირის რაიონის ცაგერის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ლეთოდიანი, გაგრის რაიონის ლ. პ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ა. ხაზარია, გალის რაიონის სოფ. ოქუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ჯგუბურია, ხობის რაიონის ქვემოქვალონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თუთბერიძე და ამავე სოფლის რუსთაველის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ლაგვილავა, ახალციხის რაიონის სოფ. ელიაწმინდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. კაპანაძე, მახარაძის რაიონის სოფ. მელექედურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ჩხაიძე, ამავე რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ორაგველიძე, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. კირცხის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლ. წურწუმია, სამტრედიის რაიონის სოფ. შუაბაშის „წითელი ოქტომბრის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვლ. ჟორჟოლიანი, ამავე რაიონის სოფ. ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ამხ. რ. ვაშაკიძე, ხაშურის რაიონის სოფ. ალის სასოფლო საბ-ჭოს თავმჯდომარე ამხ. მაისურაძე, ამავე რაიონის სურამის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. მჭედლიძე და ქვიშხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ე. გვარამაძე, წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ალ. ჟუჟულაშვილი, ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. მათიაშვილი, წითელწყაროს მტს-ის დირექცია და ზემო ქედის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. კობაიძე, ლანჩხუთის რაიონის ჯურუყვეთისა და აცანის სასოფლო საბჭოებისა და ლანჩხუთის სადაბო საბჭოს აღმასკომები, ამავე რაიონის სუფსის, ახალსოფლისა და აგარაკის კოლმეურნეობათა გამგეობები და სხვ.

ზემოაღნიშნული და ზოგიერთი სხვა რაიონის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებმა წარმატებით ჩაატარეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და უზრუნველჰყვეს ყველა სასწავლო დისციპლინაში პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლა. ამ სკოლების მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა სისტემატურად ემზადებოდა გაკვეთილისათვის, ადგენდა გაკვეთილების გეგმას, ფართოდ იყენებდა თვალსაჩინოებას და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გადაცემას უკავშირებდა ადგილობრივი რაიონისა და სოფლისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა თავისებურებას.

მაგალითად, კარგად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება თელავის რაიონის შალაურის, ნაფარეულის, ვარდისუბნის, ფშავლის, კურდღელაურის და კისისხევის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში (მასწავლებლები ნ. მამუკაშვილი, ტ. თუმანიშვილი, შ. წივილაშვილი, მ. ხეცუაშვილი, თ. ხუტუაშვილი, თ. სუხიტაშვილი, ნ. დათიაშვილი, ა.გრძელიშვილი). ამ სკოლების მასწავლებლები თანმიმდევრულად და გამართული ლიტერატურული ენით გადასცემდნენ პროგრამულ მასალას, ხშირად, ატარებდნენ საკლასო წერითი სამუშაოებს, საფუძვლიანად ასწორებდნენ წერითი ნამუშევრებს, სისტემატურად ახდენდნენ დამახასიათებელი შეცდომების კლასში განხილვას, ამახვილებდნენ ყურადღებას მოსწავლეებში ტექსტზე მუშაობის ჩვევების განმტკიცებაზე, თანმიმდევრულად აწარმოებდნენ გრამატიკული მასალის ლიტერატურულ მასალასთან დაკავშირებას და სხვ. ამის შედეგად ამ სკოლის მოსწავლეებმა სასწავლო წლის ბოლოს გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოამჟღავ-

ნეს მაღალი წიგნიერება და ზეპირი და წერითი მეტყველების საკმაოდ მაღალი კულტურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ საგანში ასევე კარგ მაჩვენებლებს იძლევიან ცხაკაიას რაიონის სოფ. გეჯეთის (მასწ. თ. კაჭარავა), ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცაგერის (მასწ. ტ. საღინაძე), გაგრის რაიონის სოფ. განთიადის (მასწ. თ. ჭაბუკიანი), ტყიბულის რაიონის სოფ. ხრესილის (მასწ. ნ. ობოლაძე), წულუკიძის რაიონის სოფ. კონტუათის (მასწ. ე. რუხაძე), სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირისა და ქვემო მაჩხაანის (მასწ. ვ. მოშიაშვილი, ქ. შოშიტაშვილი, ს. ხმალაძე და ს. გელდიაშვილი), ხაშურის რაიონის სურამის (მასწ. თ. მაჭარაშვილი), მაიაკოვსკის რაიონის სოფ. დიმის (მასწ. ვ. ჩინჩალაძე), ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ხევის (მასწ. ე. კუბლაშვილი), სამტრედიის რაიონის სოფ. ბაშის (მასწ. მ. ნაცვლიშვილი), მახარაძის რაიონის სოფ. გურიანთის (მასწ. ნ. დოლიძე). ხობის რაიონის სოფ. გალმაზორგის (მასწ. ე. ფაჩულია), ბორჯომის რაიონის სოფ. ყვიბისის (მასწ. ა. ვეფხვაძე) და სხვ. სოფლის ახალგაზრდობის სკოლები.

დამაკმაყოფილებელი იყო რუსული ენის სწავლება ბორჯომის რაიონის სოფ. ახალდაბისა და ჭობისხევის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში (მასწავლებლები აბრამაშვილი, ჯაფარაშვილი, მანჯგალაძე). ამ საგნის მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებდნენ მოსწავლეთა მიერ ლექსიკური მარაგის დაგროვებაზე, გამართული ზეპირი და წერითი მეტყველების ჩვევათა გამტკიცებასა და სწორი სასაუბრო ენის გავარჯიშებაზე. ასევე დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება გულრიფშის რაიონის სოფ. კოდორის (მასწ. რომანოვა), გაგრის რაიონის ლ. ბ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის (მასწ. სემიონსკაია), საჩხერის რაიონის სოფ. გორისის (მასწ. ი. ნასარიძე), ჩხარის რაიონის სოფ. თერჯოლის (მასწ. ს. მაკარიძე), ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის და ახალშენის (მასწ. ჟლენტი, მამალაძე), ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანის, აცანისა და ლესა-ჭინათის (მასწავლებლები შ. ტუღუში, ვ. ჩხაიძე, ვ. სარჯველაძე), ხაშურის რაიონის სოფ. ოსიაურის (მასწ. ფ. კოლოდი) და სხვ. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

სათანადოდ იყო დაყენებული მათემატიკის სწავლება ზესტაფონის რაიონის სოფ. კლდეეთის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში (მასწ. ჭანკვეტაძე), სადაც მოსწავლეებს სწორად და შეგნებულად აქვთ შეთვისებული ძირითადი მათემატიკური ცნებები, საჭირო სიზუსტით აქვთ გამომუშავებული ამოცანათა ამოხსნისას ლოგიკური მსჯელობისა და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევე-

ბი. ანალოგიური მდგომარეობა იყო ამ საგნის სწავლების მხრივ ხაშურის რაიონის სურამის (მასწ. ნ. კეჩხუაშვილი,) სოხუმის რაიონის სოფ. ქვემო იაშთუხის (მასწ. კუპრავა), ონის რაიონის სოფ. საკაოს (მასწ. კ. ბესელიძე), გურჯაანის რაიონის სოფ. ზემოგურჯაანის (მასწ. მ. მახოშვილი), ტყიბულის რაიონის სოფ. ხრესილის (მასწ. გ. კუბლაშვილი), სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგის (მასწ. დ. ყორღანაშვილი) სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

კარგად იყო დაყენებული ისტორიის სწავლება ხაშურის რაიონის სურამის, იტრიისა და ვაყის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. მაგალითად, გ/წლის საგაზაფხულო გამოცდებზე ამ საგანში დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს სურამის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მოსწავლეებმა (მასწ. ღვინიაშვილი). ასევე კარგად იყო დაყენებული ისტორიისა და კონსტიტუციის სწავლება ქუთაისის რაიონის სოფ. საყულიისა და ტყაჩირის (მასწ. ს. სვანიძე და ს. ჩხიკვაძე), სიღნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანის (მასწ. გოზალიშვილი), მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ობჩის (მასწ. ბურჯანაძე) სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში.

საჭირო სიმაღლეზე იდგა ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის სწავლება წითელწყაროს ქართულ და რუსულ, აგრეთვე სოფ. ზემო მაჩხაანის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში (მასწ. ქ. ჯორკოშვილი, არ. ბაირამოვი, ვ. თარაშვილი). აღნიშნული სკოლების მასწავლებლები ფართოდ იყენებდნენ თვალსაჩინოებას და ცდების სისტემატური ჩატარებით ხელს უწყობდნენ მოსწავლეებში მტკიცე ცოდნის დანერგვას. საკმაო წარმატებები აქვთ მოპოვებული აგრეთვე ამავე რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანის, ზემოქედისა და წითელწყაროს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიან სკოლებს ფიზიკის სწავლებაში (მასწ. გ. თარაშვილი, მ. ნატროშვილი, ვ. ყიფიანი). ამ სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად არის დაუფლებული ფიზიკური მოვლენებისათვის დამახასიათებელ კანონებს და აქვს უნარი მიღებული ცოდნა-ჩვევების პრაქტიკულად გამოყენებისა.

რიგი რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორები გეგმიანად აწარმოებდნენ მუშაობას, სისტემატურად იხილავდნენ პედსაბჭოების სხდომებზე სასწავლო-საალმზრდელო ხასიათის საკითხებს, წესრიგში ჰქონდათ სასკოლო დოკუმენტაცია, კერძოდ, მოსწავლეთა პირადი საქმეები და საკლასო ჟურნალები, სისტემატურად ესწრებოდნენ მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აძლევდნენ მათ საჭირო მეთოდურ მითითებებს, დროულად აყენებ-

ლენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე სკოლის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, რის შედეგად შესძლეს მოსწავლეთა კონტიგენტის სწავლაში ჩაბმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადოდ დაყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი, მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. სილაურის (დირ. აროგელიძე), ცხაკაიას რაიონის სოფ. ძველი სენაკის (დირ. ქუჩულორია), ხაშურის რაიონის დაბა სურამის (დირ. ნ. კეჩხუაშვილი), გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნის (დირ. კაბლია), გაგრის რაიონის ლ. პ. ბერიას სახ. საბჭოთა მეურნეობასთან არსებულმა (დირ. ვ. გამსახურდია), გულრიფშის რაიონის სოფ. მერხეულის (დირ. ვ. კვარაცხელია), ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცაგერის (დირ. მ. რუხაია), წულუკიძის რაიონის სოფ. კონტუათის (დირ. ე. რუხაძე), ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ხევის (დირ. ხაჩიძე), ვანის რაიონის სოფ. დიხაშხოს (დირ. დ. მაღლაფერიძე), გურჯაანის რაიონის სოფ. ზემო გურჯაანის (დირ. მ. მახოშვილი), გორის რაიონის სოფ. ტირძნისის (დირ. დ. გოგინაშვილი), ბორჯომის რაიონის სოფ. ახალდაბის (დირ. სილაგაძე), ხობის რაიონის სოფ. ქვემოქვალონის (დირ. ც. დალაქიშვილი), თელავის რაიონის სოფ. რუისპირის (დირ. ჯოხაძე), ქობულეთის რაიონის სოფ. კოხის (დირ. ძიძიგური), ბათუმის რაიონის სოფ. თხილნარის (დირ. ვ. მასხულია) და სხვ. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებმა.

ამასთან ერთად რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის რიგ სკოლებში ამ სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის აღრიცხვის, სწავლაში ჩაბმისა და სასწავლო წლის ბოლომდე მისი შენარჩუნების საქმეში, აგრეთვე სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში 1947-48 სასწავლო წლის მანძილზე ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

• მაგალითად, რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს სასწავლო წლის მანძილზე სხვადასხვა მიზეზით ჩამოშორდა 3.000-მდე მოსწავლე. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად წარმართვის შედეგად მეორე წლისათვის იმავე კლასებში დატოვებულია 4.200-მდე მოსწავლე. გარდა ამისა, ზოგიერთ რაიონში საჭირო სიზუსტით ვერ ჩატარდა მოსწავლეთა კონტინგენტის აღრიცხვა, ვერ უზრუნველჰყვეს აღრიცხული კონტინგენტის სწავლაში ჩაბმა და ამის შესაბამისად სკოლებისა და კლასების დაგეგმილი რაოდენობით გახსნა.

ტყიბულის რაიონში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 სკოლისა 27 კლასით, გაიხსნა 6 სკოლა 18 კლასით, რომლებშიაც აღრიცხვაზე აყვანილ 253 ახალგაზრდიდან სწავლაში ჩაბმულია მხოლოდ 173 მოსწავლე. ამასთან სასწავლო წლის განმავლობაში სწავლაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტიდან განითესა 52 ახალგაზრდა. წალენჯიხის რაიონში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 16 სკოლისა 57 კლასით და 465 მოსწავლით, ფაქტიურად გაიხსნა მხოლოდ 10 სკოლა 39 კლასით და 354 მოსწავლით, ამასთან სასწავლო წლის დამთავრებამდე სკოლას ჩამოშორდა 90 მოსწავლე, საჩხერის რაიონში, გეგმით გათვალისწინებული 861 მოსწავლის ნაცვლად, სწავლაში ჩაება 762, სასწავლო წლის მანძილზე რაიონის სკოლებს შემოემატა 117 მოსწავლე, მაგრამ სწავლას ჩამოშორდა 216 მოსწავლე. სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მხრივ ანალოგიური მდგომარეობა იყო წალკის რაიონში, სადაც სასწავლო წლის მანძილზე სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს ჩამოსცილდა 241 მოსწავლე. დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობა იყო ახალციხის, ჩოხატაურის, თბილისის, წყალტუბოს, დმანისის, ჩხარის, მარნეულის, გარდაბნისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ზოგიერთ რაიონში სწავლაში ჩაბმული ახალგაზრდობის სკოლიდან ჩამოშორებას და მეცადინეობის სისტემატურად გაცდენას ხელი შეუწყო ადგილობრივი კოლმეურნეობების მიერ მოსწავლეთა შორეულ სამუშაოზე გაგზავნამ. მაგალითად, წალკის რაიონის სოფ. ხაჩკოვის, კაბურის, არ-სარვანის, ჩოლიანის, კიზილ-კილისის კოლმეურნეობები (თავმჯდომარენი ს. გალუსტოვი, გ. მანასიანი, ბ. კარახანოვი, ნოვრუზალოვი, ა. არამიანი და სხვ.) ხანგრძლივი დროით აგზავნიდნენ შორეულ სამუშაოებზე სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეებს, არ უწყობდნენ მათ ხელს სწავლაში, რასაც შედეგად მოჰყვა ამ სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვა ან მათი აკადემიური ჩამორჩენა. ანალოგიური მდგომარეობა იყო ქვემო-სვანეთის, სიღნაღის, ახალციხის, კაჭრეთის, ტყიბულის, გურჯაანის, ონის, კასპის, ცხაკაიას, საჩხერის, გორისა და სხვა რაიონების რიგ სკოლებში.

ცეკავშირის ადგილობრივი ორგანოების (რაიკავშირების) მოუქნელი მუშაობის შედეგად სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები არ იყო უზრუნველყოფილი ნავთითა და ლამპებით, რის გამოც ადგილი ჰქონდა მეცადინეობის გაცდენას ონის, ვანის, წალკისა და ქვემო-სვანეთის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს ზოგიერთ სკოლაში. რიგ შემთხვევაში სკოლები არ იყვნენ უზრუნ-

ველყოფილი გათბობითაც (კასპის, მცხეთის, ქვემო-სვანეთის, ბოლნისის, გარდაბნის და სხვ. რაიონები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელი იყო სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რიგი სკოლების დირექტორების მუშაობა 1947-48 სასწავლო წლის მანძილზე. ისინი არ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას სკოლების მუშაობაზე, არ აწარმოებდნენ მეთოდურ მუშაობას, იშვიათად ამოწმებდნენ გაკვეთილების ხარისხს, საჭირო ყურადღებას არ აქცევდნენ საკლასო ჟურნალებში ყოველდღიურ აღრიცხვიანობას, სისტემატურად არ უკავშირდებოდნენ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის გაცდენის წინააღმდეგ ერთობლივ ღონისძიებათა მისაღებად, რის შედეგად ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა საგრძნობი რაოდენობით სწავლიდან ჩამოშორებას, მეცადინეობაზე სისტემატურად დაუსწრებლობას, აკადემიურ წარუმატებლობას და სხვ. მაგალითად, ცუდად მიმდინარეობდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ახალციხის რაიონის სოფ. გურკელისა და აწყურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში (დირ. ხაჩიძე, და ვ. ტყაბლაძე). აწყურის სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიანი საღამოს სკოლის მე-6 კლასში სასწავლო წლის დასაწყისში სიით ირიცხებოდა 12 მოსწავლე, სასწავლო წლის მანძილზე მეცადინეობას ჩამოშორდა 6 კაცი, ხოლო დარჩენილი 6 მოსწავლიდან მხოლოდ 1 მოსწავლე გადაყვანილია შემდეგ კლასში, იმავე კლასში დატოვებულია 1 მოსწავლე და 4 მოსწავლეს მიეცა საშემოდგომო გამოცდები.

მოსწავლეთა აკადემიური წარმატების თვალსაზრისით სრულიად არადამაკმაყოფილებელი შედეგებია წყალტუბოს რაიონის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში, სადაც 276 მოსწავლიდან იმავე კლასში დატოვებულია 111 მოსწავლე და საშემოდგომო გამოცდები მიეცა 36 მოსწავლეს. კერძოდ, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცუდ ნიმუშებს იძლეოდნენ სოფ. მაღლაკისა და ფარცხანაყანევის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები. ანალოგიური მდგომარეობა იყო ტყიბულის რაიონის სოფ. ცუცხვათის (დირ. ი. ფორჩხიძე), საჩხერის რაიონის სოფ. ჰერევისის (დირ. გ. ქავთარაძე), სოხუმის რაიონის სოფ. შრომის (დირ. ნ. ასმავა), ოჩამჩირის რაიონის სოფ. პირველი ბედიის (დირ. ბჟალავა), ძველი კინდღის (დირ. დ. ჯოლოხავა) ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურის (დირ. სოსიაშვილი) და დუისის (დირ. გარშაულაშვილი), თელავის რაიონის სოფ. რუისპირის, ქვემო ხოდაშენის და ვანათის (დირ. ჯოხაძე, ს. ტყემალაძე, ქ. ჭურღულაშვილი), ხაშუ-

რის რაიონის სოფ. ქემფრის (დირ. გ. გოგოლაძე), ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბაისუბნის (დირ. აკ. ორმოცაძე) და ლელიანის (დირ. ბ. სამყურაშვილი), ცხაკაიას რაიონის სოფ. ეკის (დირ. ხარებავა) სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში, რის შედეგად სასწავლო წლის დასასრულს რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში გაერთიანებული 20.000 მოსწავლიდან იმავე კლასებში დატოვებულია 4000-მდე მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რიგი სკოლების მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა შედეგია იმ გარემოებისა, რომ ზოგიერთი სკოლის მასწავლებლები არასაკმაო პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას, სათანადოდ არ ემზადებოდნენ გაკვეთილებისათვის, ზოგჯერ არ ადგენდნენ გაკვეთილის გეგმას, არ ითვალისწინებდნენ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მუშაობის სპეციფიკას და ამის შესაბამისად არ გეგმავდნენ სასწავლო და საალმზრდელო მუშაობის საკითხებს. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მუშაობის ცუდ ნიმუშებს იძლეოდნენ ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბაისუბნის (მასწ. დ. ზოზიაშვილი), ხაშურის რაიონის სოფ. ბეკამისა და ავლევის (მასწ. კ. ორჯონიკიძე და ი. ბუცხრიკიძე), თელავის რაიონის სოფ. რუისპირისა და წინანდლის (მასწ. ტ. მამუკაშვილი და მ. ფირანიშვილი), კაჭრეთის რაიონის სოფ. ჯიმითის (მასწ. მ. გიგაური) და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს ზოგიერთი სხვა სკოლა. აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს არ ჰქონდა ზეპირი და წერითი მეტყველების მტკიცე ჩვევები, არ შესწევდა უნარი მხატვრული ნაწარმოების დედა-აზრის მკაფიოდ დახასიათებისა, ძრავლად უშვებდა წერაში ორთოგრაფიულ და სტილისტიკურ შეცდომებს, არ იცავდა პუნქტუაციურ წესებს და სხვ. ასევე არადამაკმაყოფილებელი იყო რიგი სკოლების მასწავლებელთა მუშაობა რუსულ ენასა და ლიტერატურაში. მაგალითად, სასწავლო წლის მანძილზე სუსტად მუშაობდნენ ბათუმის რაიონის სოფ. მახინჯაურის (მასწ. ა. თევზაძე), ქედის რაიონის სოფ. დოლოგნის (მასწ. მ. სტამბოლიშვილი), სიღნაღის რაიონის სოფ. ტიბაანისა და ქვემო მაჩხაანის (მასწ. ღვინიაშვილი და ლ. პაპუაშვილი), საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულის (მასწ. ვ. მაჭარაშვილი), წყალტუბოს რაიონის სოფ. ფარცხანაყანევის (მასწ. თ. კილაძე) და სხვ. სკოლების მასწავლებლები.

სუსტად ჰქონდათ დაყენებული მათემატიკის სწავლება მასწავლებლებს შ. გეგენავას (ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სკოლა), ვასაძეს (ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის სკოლა), ვაჭარაძეს (ზეს-

ტაფონის რაიონის სოფ. კვალითის სკოლა) და სხვ. არადამაკმაყოფილებელი იყო აგრეთვე ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის სწავლება ჩოხატაურის რაიონის სოფ. კოხნარის (მასწ. ფ. კობიძე), ისტორიის სწავლება ბორჯომის რაიონის სოფ. დიდი მიტარბისა და გუჯარეთის (მასწ. ხრიკაძე და კუპატაძე), ცხაკაიას რაიონის სოფ. გახომელას (მასწ. ა. რახამია) სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში.

სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობასა და ცალკეული დისციპლინების სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი შედეგია იმ გარემოებისა, რომ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს ზოგიერთი სკოლა რიგ სასწავლო დისციპლინებში არ იყო დაკომპლექტებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებით, რაც აიხსნება სახალხო განათლების ადგილობრივ განყოფილებათა მხრივ ამ საქმისადმი უყურადღებობით.

ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე საჭირო სერიოზულობით არ მოეკიდა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებზე ხელმძღვანელობის საქმეს, დროულად ვერ უზრუნველჰყო სწავლაში ჩასაბმელ სოფლის ახალგაზრდობის ზუსტი აღრიცხვა, აღრიცხული კონტინგენტის სწავლაში ჩაბმა და სასწავლო წლის ბოლომდე შენარჩუნება, არ მიიღო გადამჭრელი ზომები სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვისა და გაკვეთილების გაცდენის შემთხვევათა აღსაკვეთად, აგრეთვე ამ სკოლების უზრუნველსაყოფად საჭირო მოწყობილობით, გათბობა-განათებით, სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, არ ჰქონდა უშუალო კავშირი ადგილობრივი პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციებთან, სათანადო პრაქტიკულ დახმარებასა და საჭირო ხელმძღვანელობას არ უწევდა ამ სკოლებს, სისტემატურად არ ამოწმებდა მათ მუშაობას და სხვ. (წალკის, წყალტუბოს, კასპის, მცხეთის, ახალციხის, მარნეულის გარდაბანისა და სხვ. რაიონები).

ᲒᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებამ და სახალხო განათლების ყველა სარაიონო განყოფილების გამგეებმა 1948-49 სასწავლო წელს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სკოლის გარეშე დარჩენილ სოფლის ახალგაზრდობის ზუსტი აღრიცხვისა და სწავლაში მისი ჩაბმის უზრუნველსაყოფად შეიდრო კავშირი იქონიონ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომ-

კავშირულ, პროფკავშირულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციებთან, დააკომპლექტონ კლასები და სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი საორგანიზაციო მუშაობა წარმართონ ისე, რომ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში ნორმალური მეცადინეობა დაიწყოს 1-ლ ნოემბერს;

ბ) დროულად გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს დამოუკიდებელი სკოლებისა და მასობრივ სკოლებთან არსებული კლასების ქსელი, შეავსონ მცირერიცხოვანი კლასები მოსწავლეებით, უზრუნველჰყონ გეგმის მიხედვით გასახსნელი სკოლებისა და კლასების ჩამოყალიბება, ხოლო დამატებითი სკოლებისა და კლასების გახსნის საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნა სკოლებისა და კლასების გახსნაზე დროულად წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში;

გ) მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად თავის დროზე მიიღონ გადამჭრელი ზომები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების სათანადო ბინით, გათბობა-განათებით უზრუნველსაყოფად, დროულად შეიძინონ ამ სკოლებისათვის ლამპები და ლამპის შუშები და სათანადოდ გაანაწილონ ისინი სკოლებსა და კლასებს შორის;

დ) უზრუნველჰყონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეები სახელმძღვანელოებითა და რვეულებით მასობრივი სკოლების მოსწავლეთა თანაბრად განათლების განყოფილების საერთო ფონდიდან;

ე) გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორების (გამგეების) და მასწავლებელთა შემადგენლობა და სუსტი მუშაკები შესცვალონ სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით;

ვ) შეუქმნან სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს ყოველგვარი პირობა ნორმალურ მუშაობისათვის, შეამოწმონ აღნიშნულ სკოლებზე ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან გაწეული დახმარებისა და ხელშეწყობის მდგომარეობა, საჭიროების შემთხვევაში დასვან საკითხი შემოწმების შედეგებზე რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში სათანადო ღონისძიებათა დასასახავად და გასატარებლად, მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა შორეულ სამუშაოზე გაგზავნის პრაქტიკის აღსაკვეთად;

ზ) სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორთა (გამგეთა) და მასწავლებელთა თათბირები, განიხილონ ამ სკოლების სასწავლო გეგ-

მა, პროგრამები და მეთოდური მითითებანი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის სპეციფიკის საკითხებზე, მოისმინონ რაიონის მოწინავე სკოლების თვითანგარიში და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი დამდეგ სასწავლო წელს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის;

თ) გაუწიონ ზაფხულის პერიოდში საჭირო დახმარება საშემოდგომო გამოცდების მქონე მოსწავლეებს კონსულტაციებითა და სასწავლო ნივთებით, არ დაუშვან მასობრივ სკოლებიდან აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში ჩარიცხვა;

ი) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და გაუწიონ სათანადო კონტროლი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს, სისტემატურად შეამოწმონ მათი მუშაობა და შემოწმების საფუძველზე მისცენ მათ კონკრეტული მითითებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა);

ა) ამთავითვე დაიწყონ სამზადისი ახალი სასწავლო წლისათვის, წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები და სასკოლო დოკუმენტაცია, ზუსტად დაიცვან სასკოლო დოკუმენტების წარმოების, მოვლისა და დაცვის წესები;

ბ) განამტკიცონ სკოლაში გეგმიანი მუშაობა, უზრუნველჰყონ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის იმგვარად აგეგმვა, რომ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით მასში აისახოს სასკოლო მუშაობის ყოველი მხარე და ყველა ძირითადი საკითხი;

გ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები მიცემული შენიშვნების წერილობით გაფორმებით, განიხილონ შემოწმების შედეგები პედსაბჭოს სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის;

დ) გადაჭრით გააძლიერონ სკოლაში მეთოდური მუშაობა, შესაძლებლობის შემთხვევაში ჩამოაყალიბონ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება და საგნობრივი კომისიები, სადაც სისტემატურად განიხილონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სწავლების მეთოდიკის საკითხები;

ე) დააწესონ სისტემატური კონტროლი საკლასო ჟურნალების წარმოებაზე, უზრუნველჰყონ მათში გავლილი მასალის ჩაწერა, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმდინარე შეფასებისა და მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების აღნიშვნა, ამასთან მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით მეცადინეობის გაცდენის შემთხვევათა აღსაკვეთად.

3. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებლებმა შეადგინონ და იქონიონ წლიური და ნახევარწლიური სამუშაო კალენდარული გეგმები და გაკვეთილის გეგმები, ჩაატარონ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში წერითი სამუშაოები დადგენილი ნორმით, იბრძოლონ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურისა და საერთოდ აკადემიური წარმატების ამაღლებისათვის.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მატერიალური ფონდების განყოფილებამ უზრუნველჰყოს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დროულად მომარაგება ლამპებითა და ლამპის შუშებით.

5. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ გაუწიოს საჭირო დახმარება და კონკრეტული ხელმძღვანელობა ადგილებზე სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს 1948-1949 სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი მუშაობის სათანადოდ ჩატარებაში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჯუალაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2838

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 13 სექტემბერი

ბორჯომის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში ბავშვთა მეურვეობის შესახებ

გავეცანი რა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მეურვეობის პატრონატისა და გაშვილების საქმის მდგომარეობას ბორჯომის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონების განათლების განყოფილებებში, აღვნიშნავ, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეზე გაპიროვნებული არიან განათლების განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები, უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მეურვეობის, პატრონატისა და გაშვილების საქმეში აღნიშნულ რაიონებში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს, რაც უმთავრესად შემდეგში გამოიხატება: სუსტია კონტროლი უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პირადი ქონების მოვლა-პატრონობაზე, ხშირად ქონების გადაბარების აქტს ხელს არ აწერს ქონების მიმღები მეურვე. ზოგ შემთხვევაში ქონების აღწერა და გადაბარება სრულიად არ ხდება, არ წარმოებს მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების ხშირი შემოწმება და ანგარიშის მოთხოვნა მეურვეებზე.

პატრონატზე მყოფ ბავშვებზე დახმარების მოხსნა წარმოებს მექანიკურად, თითოეული მათგანის ინდივიდუალური პირობების შესწავლის და ბავშვის შემდგომი (14 წლის შესრულების შემდეგ) მდგომარეობის მოწესრიგების გარეშე.

ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს გაშვილების წესის დარღვევებს, როგორც მაგალითად: საბავშვო სახლების აღსაზრდელები გაშვილებულია განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე (ბორჯომი), მამიანი ბავშვი გაშვილებულია მამის ან კიდევ მშვილებლის მეუღლის წერილობითი თანხმობის გარეშე (ბორჯომი), გაშვილება არ ტარდება მმაჩში (ჭიათურის რაიონი), საჩხერის რაიგანათლების განყოფილება სრულიად არ აწარმოებს გაშვილების რეგისტრაციას და ეს საქმე თვითდინებით მიმდინარეობს.

სრულიად არ წარმოებს ზრუნვა საბავშვო სახლში მოწყობილ ბავშვთა ქონების დაცვასა და შენახვაზე. უდედმამოდ დარჩენილ ბავშთა დახმარების საქმეში არ არის ჩაბმული საზოგადოებრიობა.

აღნიშნულ დეფექტების გამოსწორების მიზნით

ვბრძანებ:

დაევალოს ბორჯომის, ჭიათურისა და საჩხერის რაიგანათლების განყოფილებათა გამგეებს—ამხ. ამხ. მინჯიას, ახრახაძეს და კომლაძეს:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ სოფ. საბჭოებთან ერთად მშრომელთა ოჯახებისა და საბავშვო სახლებში მოთავსებულ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პირადი ქონება და დააწესონ მეურვეობა იქ, სადაც ჯერ ასეთი დაწესებული არ არის.

ბ) შეისწავლონ მშრომელთა ოჯახებში აღსაზრდელად მყოფ უდედმამო ბავშვთა მდგომარეობა, უზრუნველჰყონ მათი სწავლებაში ჩაბმა და დაეხმარონ სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით.

გ) მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე შეამოწმონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთათვის ყოველთვიური დახმარების სწორად გაცემა და დანიშნულებისამებრ მოხმარება.

დ) 1-ლ იანვრამდე ჩაიბარონ ანგარიშები ყველა მეურვეებისაგან მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვების ქონების მდგომარეობაზე.

ე) უზრუნველჰყონ მოზარდთა მოწყობა შრომითი სწავლებაზე პატრონატის მოხსნის შემდეგ.

ვ) უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე მზრუნველობისა და დახმარების საქმეში ჩააბან ფართო საზოგადოებრიობა;

ზ) მეურვეობის, პატრონატისა და ბავშვთა უფლებრივი დაცვის საქმეში იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ინსტრუქციით (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული № 6—5, 1948 წ).

2. ეს ბრძანება დაეგზავნოს ყველა რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს სახელმძღვანელოდ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2551

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 24 აგვისტო

საბავშვო სახლებში 1947-48 სასწავლო წელში სასწავლო მუშაობის შედეგებისა და მომავალ სასწავლო წელში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

გავეცანი რა 1947-48 სასწავლო წლის შედეგებს საბავშვო სახლებში, ავღნიშნავ, რომ სასწავლო მუშაობაში 1947-48 სასწავლო წელს რესპუბლიკის საბავშვო სახლებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ გასულ წელთან შედარებით.

ა) გაუმჯობესდა საბავშვო სახლის აღსაზრდელთა სწავლაში წარმატების ხარისხი—30 საბ. სახლში 2681 მოსწავლეთაგან, რომელნიც ასწრებენ სკოლაში, 1168 (თითქმის 50%) აღსაზრდელი სწავლობს ხუთზე და ოთხზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღინიშნებიან: ვაკის, ბეთანიის, განთიადის, მახარაძის, ვაშლოვანის, კოჯრის № 3, 4, 5, 8 და ქლუხორის № 4 საბავშვო სახლები.

ბ) მთელ რიგ საბავშვო სახლებმა შესძლეს სასკოლო ასაკის აღსაზრდელთა მთლიანად და დროულად ჩაბმა სწავლებაში: მახარაძის, მახინჯაურის, სიღნაღის, შუამთის, ქურთას, კოჯრის, №№ 7, 8, და 4. ქლუხორის № 3, 4, კარდანახის, თელავის, ვაშლოვანის, ბათუმის, გორის, ბეთანიის და ა. შ.

გ) საგრძნობლად შემცირდა სკოლის მიერ შეუფასებელ აღსაზრდელთა რაოდენობა, ხოლო განთიადის, მახარაძის, მახინჯაურის, სიღნაღის, ქურთას საბავშვო სახლების აღსაზრდელთა შორის არ არის არცერთი სკოლის მიერ შეუფასებელი აღსაზრდელი.

დ) რიგ საბავშვო სახლებმა მაღალ სასკოლო წარმატებას მიაღწიეს, როგორც მაგალითად: ბეთანიის, საბ. სახლში 233 შეფასებულ მოსწავლეზე მოდის მხოლოდ 19 ჩამორჩენილი მოსწავლე, განთიადში 168-ზე—5, კარდანახში — 65-ზე—4, კოჯრის № 4 106-ზე—3, კოჯრის № 5-ში 159-ზე—10, კოჯრის № 7 148-ზე—10,

კოჯრის № 8 96 -ზე—3, მახარაძეში 110-ზე მხოლოდ 1, რომელსაც მხოლოდ განმეორებით გამოცდა აქვს და ისიც ერთ საგანში.

მაგრამ, ამავე დროს, მთელ რიგ საბ. სახლებმა განსაკუთრებით სუსტი სასწავლო მუშაობა გვიჩვენა, როგორც მაგალითად: ახალციხის საბ. სახლმა, სადაც 42 გადაყვანილ მოსწავლეზე 14 ჩამორჩენილი მოდის, ბორჯომის საბ. სახლმა—19 გადაყვანილზე 18 ჩამორჩენილი, ეწერის საბ. სახლმა—113 გადაყვანილზე 32 ჩამორჩენილი, ლენინგორის საბ. სახლმა—47 გადაყვანილზე 16 ჩამორჩენილი, საჩხერის საბ. სახლმა—48 გადაყვანილზე 13 ჩამორჩენილი, შუამთის საბ. სახლმა 83 გადაყვანილზე—39 ჩამორჩენილი.

იმავე კლასში მეორე წელს დატოვებულ მოსწავლეთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდია ბორჯომში—37 შეფასებულ მოსწავლიდან 10 დატოვებულია იმავე კლასში, შუამთის 122-დან 20. ლენინგორში—63 მოსწავლიდან—13. საერთოდ 30 სახლის 3266 აღსაზრდელთაგან სწავლაში ჩამორჩება 402 მოსწავლე, რომელთაგან 225 დატოვებულია იმავე კლასში.

სასწავლო მუშაობაში ჩამორჩენის მთავარ მიზეზებად უნდა ჩაითვალოს:

1. საბავშვო სახლების აღმზრდელთა ნაწილის დაბალი პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაცია.

2. ნაკლები ყურადღება და სუსტი ხელმძღვანელობა რიგი საბავშვო სახლების დირექციის მხრივ საბავშვო სახლის სასწავლო მუშაობის მატერიალური ბაზის მოწესრიგებისადმი, როგორიც არის სამეცადინო ოთახების გამოყოფა და მოწყობა, სასწავლო ნივთებითა და ხელსაწყოებით უზრუნველყოფა და ა. შ.

3. საბავშვო სახლის აღმზრდელთა პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეზე, საბავშვო სახლის დირექციის სუსტი ხელმძღვანელობა (ლიტერატურის შეძენა, მოწინავეთა გამოცდილების მასიურად დანერგვა, აღმზრდელთა მუშაობაზე დასწრება და მათი სისტემატური ინსტრუქტირება).

4. საბავშვო სახლების პედაგოგიური საბჭოების სუსტი მუშაობა, რაც სასწავლო საკითხებისადმი ნაკლებ ყურადღებაში გამოიხატება და ა. შ.

საბავშვო სახლების სასწავლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი „ღონისძიებანი საბავშვო სახლებში სასწავლო მუშაობის გუმჯობესების შესახებ 1948-49 სასწავლო წელში“ და ამ ბრძანებასთან ერთად და-

ეგზავნოს ყველა საბავშვო სახლს და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს.

2. 1947-48 სასწავლო წლის შედეგები და აღნიშნული ღონისძიებანი განხილულ იქნას საბავშვო სახლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დასახული იქნას კონკრეტული ღონისძიებანი.

3. დაევალოს განათლების სამინისტროს მატერიალური ფონდების განყოფილების უფროსს ამხ. დ. მელიქაძეს—დაამზადოს თავის სახელოსნოში შესაფერი დგამი: სკამები, მაგიდები და კარადები, საბავშვო სახლების სამეცადინო ოთახების მოსაწყობად.

4. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს) პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ საბავშვო სახლის აღსაზრდელთა სკოლებში მიღება სასწავლო წლის ყოველ პერიოდში.

5. მიეთითოს ბორჯომის, შუამთის, ახალციხის, ეწერის, ლენინგორისა და საჩხერის საბ. სახლების დირექტორებს (ამხ. ამხ. ხუჯაძეს, ბაქრაძეს, კარაპეტიანს, სტურუას, ცხოვრებოვს, აბჟანდაძეს) საბავშვო სახლის სუსტ სასწავლო მუშაობაზე და მდგომარეობის ახლო მომავალში გამოსწორების აუცილებლობაზე.

6. 1947-48 სასწავლო წლის ანგარიშების წარმოუდგენლობისათვის გამოეცხადოს საყვედური შემდეგ საბავშვო სახლების დირექტორებს:

ა) გეგეჭკორის საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. სურმავას.

ბ) თამარაშენის საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ჯაბიევს,

გ) კასპის საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ჯაჯანაშვილს,

დ) ონის საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ბუგიანიშვილს,

აღნიშნულ ამხანაგებს ვაფრთხილებ, რომ მოთხოვნილი მასალების დაგვიანებით წარმოდგენის განმეორების შემთხვევაში მათ წინააღმდეგ მიღებულ იქნება ადმინისტრაციული ზომები.

7. ვავალებ საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილების გამგეს ამხ. თ. ჭყონიას:

ა) განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებასთან ერთად გადასინჯოს საბავშვო სახლების აღმზრდელ-პედაგოგთა შემადგენლობა და შეავსოს ის უფრო დახელოვნებული მუშაკებით.

ბ) გააძლიეროს კონტროლი და დახმარება საბავშვო სახლების სასწავლო მუშაობის ხშირი შესწავლით და საჭირო ღონისძიებათა გატარებით.

გ) ეს ბრძანება დაეგზავნოს ყველა საბავშვო სახლსა და განათლების განყოფილებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლონისძიებანი

სასწავლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საბავშვო სახლებში 1948-49 სასწავლო წელს

სასწავლო მუშაობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა საბავშვო სახლების დირექტორებმა:

1. მაქსიმალურად გააძლიერონ საბავშვო სახლების სასწავლო მატერიალური ბაზა, რისთვისაც:

ა) უზრუნველჰყონ თითოეული სააღმზრდელო ჯგუფი საკუთარი სამეცადინო ოთახით, ხოლო სადაც ეს ჯერჯერობით შეუძლებელია ბინის სივიწროვის გამო, გამოყონ შეძლებისდაგვარად უფრო მოხერხებული ადგილები და მიამაგრონ ისინი განსაზღვრულ ჯგუფს. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ: საკლუბო და სასადილო ოთახები, პიონერ-ოთახი, სხვადასხვა დანიშნულების კაბინეტები და ა. შ.

ბ) სამეცადინო ოთახები მოამარაგონ საჭირო დგამით: მაგიდები თითო 4 კაცზე, ინდივიდუალური სკამებით, სამაგიდო ლამპებით, შკაფებით ინდივიდუალურ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჯგუფური (4 კაცზე), უჯრებით და თაროებით საერთო სარგებლობის ნივთებისათვის და ა. შ.

გ) შეიძინონ და გადასცენ თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფის აღმზრდელ-ხელმძღვანელს თვალსაჩინო სასწავლო დამხმარე ნივთები—რუქები, გლობუსები, ატლასები, ცნობარები, ორთოგრაფიული და სხვა ლექსიკონები, ორთოგრაფიული და მათემატიკური ტაბულები, გეოგრაფიული, საბუნებისმეტყველო, ისტორიული და სხვა სურათები, აგრეთვე სახატავ-სახაზავი მოწყობილობანი და მასალები.

2. გააძლიერონ და ხარისხობრივად გააუმჯობესონ აღმზრდელთა დახმარება აღსაზრდელებზე სასკოლო დავალებების შესრულებაში მიერ, რისთვისაც:

ა) მოამარაგონ აღმზრდელები ძირითადი მეთოდური ლიტერატურით და პროგრამებით, აგრეთვე სახელმძღვანელოებით ყველა სასწავლო საგანში.

ბ) შეავსონ საბავშვო სახლის ბიბლიოთეკა ყველა იმ წიგნებით, რომელიც მითითებულია სასკოლო პროგრამებში, როგორც სავალდებულოდ წასაკითხავი საპროგრამო მასალასთან დაკავშირებით ამა თუ იმ სასწავლო საგანში. საერთოდ მაქსიმალურად გაამდიდრონ საბავშვო სახლის ბიბლიოთეკა საბავშვო ლიტერატურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეავსონ საბავშვო სახლის ბიბლიოთეკა პედაგოგიურ მეთოდური და დიდაქტიკური ლიტერატურით სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე და მოაწესრიგონ ამ ლიტერატურის ორგანიზებულად, გეგმიანად გაცემა აღსაზრდელებზე.

დ) ხშირად მოისმინონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე მოხსენებანი მოწინავე აღმზრდელთა გამოცდილების შესახებ სასკოლო დავალებებზე მუშაობის ორგანიზაციულ-მეთოდურ საკითხებზე, უზრუნველჰყონ თითოეული აღმზრდელის მიერ ღია მეცადინეობის ჩატარება წლის განმავლობაში არა ნაკლებ ორისა.

ე) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა (ხშირი დასწრება, ინფორმაციების მოსმენა, მოწინავე აღსაზრდელთა სტიმულირება და ა. შ.) აღმზრდელის სასწავლო მუშაობაზე.

3. სრულიად აღკვეთონ საბავშვო სახლის აღსაზრდელთა სკოლის გარეშე დარჩენა, რისთვისაც:

ა) ყოველი ახლადმიღებული აღსაზრდელი დაუყოვნებლივ ჩააბან სწავლებაში და უზრუნველყონ სკოლაში ახლად ჩაბმულ ბავშვთან გაძლიერებული ინდივიდუალური სასწავლო მეცადინეობა სკოლის დასახმარებლად და უკანასკნელთან შეთანხმებით.

ბავშვების სკოლაში მიღებაზე სკოლის მხრივ უარის შემთხვევა დაუყოვნებლივ აცნობონ განათლების განყოფილებას ან განათლების სამინისტროს საჭირო ზომის მისაღებად.

ბ) საბავშვო სახლის აღსაზრდელის კარანტინში ყოფნის პერიოდში (ახლად მიღება, კანით დაავადება და სხვ.) უზრუნველჰყონ ამ ბავშვთან სისტემატური სასწავლო მეცადინეობა სკოლის მიერ მოცემული პროგრამით.

4. გადამჭრელი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა მაქსიმალურად უზრუნველყოფისათვის სასწავლო წიგნებით, რისთვისაც:

ა) ამ თავითვე შეიტანონ სათანადო განაცხადი სასწავლო წიგნებზე და საწერ ნივთებზე.

ბ) დროულად მიიღონ ისინი მომმარაგებელი ორგანიზაციებიდან და წესიერად გაანაწილონ აღსაზრდელთა შორის;

გ) დაუყოვნებლივ მოიყვანონ წესრიგში ძველი სახელმძღვანელოები. უზრუნველჰყონ სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ნივთების წესიერი მოვლა.

5. აღკვეთონ-ფორმალიზმი სკოლასა და საბავშვო სახლის ურთიერთობაში, რისთვისაც აუცილებელია:

ა) ყოველი აღმზრდელის მიერ დაწვრილებით გაცნობა სკოლის იმ მასწავლებლის პრაქტიკულ სასწავლო მუშაობისა, რომელიც მის საალმზრდელო ჯგუფს ასწავლის, სახელდობრ: გაკვეთილებზე დასწრება, მეოთხედური და თემატიკური გეგმების შესწავლა, კლასის ხელმძღვანელის საალმზრდელო გეგმის დაწვრილებით გაცნობა და ა. შ.

ბ) სკოლისა და საბავშვო სახლის პედსაბჭოს კრებაზე ურთიერთდასწრება და საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა, ღია გაკვეთილებზე და მეცადინეობებზე ურთიერთღონისძიებების ჩატარება (ექსკურსიები, ლაშქრობანი, შეჯიბრებანი, დილა-საღამოები და ა. შ.), სკოლის მასწავლებელთა ფართომონაწილეობა და სხვა.

საბავშვო სახლებისა და სპეც-სკოლების
განყოფილების უფროსი თ. ჯუღნია

ვამტკიცებ,
საქ. სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე მ. ბურჭულაძე
10 ივნისი 1948 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინსტრუქციო მითითება

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის შრომის ორგანიზაციის შესახებ საბავშვო ბაღში

I. ზოგადი დებულებები

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის შრომის ორგანიზაცია პირობადებულია იმ აღმზრდელობითი ამოცანებითა და პროგრამულ-მეთოდური მოთხოვნებით, რომლებსაც საბჭოთა საბავშვო ბაღს უყენებს „საბავშვო ბაღის წესდება“ და „სახელმძღვანელო საბავშვო ბაღის აღმზრდელობისათვის“.

მუსიკალური აღზრდის ამოცანები და „სახელმძღვანელოს“ პროგრამულ-მეთოდური მოთხოვნები თითოეული ასაკობრივი ჯგუფისა და თითოეული ბავშვის მიმართ, ავალდებულებს მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელს გეგმიანად აწარმოოს ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა ბავშვებთან და აგრეთვე აღმზრდელებთან.

საბავშვო ბაღის აღმზრდელის სახელმძღვანელოს თანახმად მუსიკის მოსმენა და სიმღერები უნდა ტარდებოდეს არა მარტო მუსიკალური მეცადინეობის საათებში, არამედ ყოველი მოხერხებული შემთხვევის დროს.

იმისათვის, რომ სიმღერა—მუსიკის მოსმენა, ცეკვა საბავშვო ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიჭრას, ამიტომ მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელი სპეციალურ მეცადინეობას უნდა ატარებდეს აღმზრდელებთან.

აღმზრდელს გარკვეული მუსიკალური კულტურა მოეთხოვება.

ბავშვების მუსიკალური აღზრდის მიზნით წარმოებული მუშაობა ყველა უწყების საბავშვო ბაღში უნდა ტარდებოდეს საქ. სსრ

განათლების სამინისტროს პროგრამულ-მეთოდური მითითებების შესატყვისად და ამასთანავე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვაგვარი მუსიკალური ინსტრუმენტები: (პიანინო, როიალი, ვიოლინო, გიტარა, მანდალინა, ჩონგური და სხვ.) და აგრეთვე პატეფონი და რადიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკალური აღზრდის მიზნით წარმოებული მუშაობა ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული საბავშვო ბაღის მთელ ცხოვრებასთან და აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსთან.

ეს ავალდებულებს მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელს, იცნობდეს სკოლამდელი პედაგოგიკის საფუძვლებს, სისტემატურად მუშაობდეს თავისი კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე.

II. მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი

„საბავშვო ბაღის წესდების“ შესაბამისად მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელი საბავშვო ბაღში:

ა) ახორციელებს ბავშვების სწორ მუსიკალურ აღზრდას, რისთვისაც თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს საქ. სსრ განათლების სამინისტროს პროგრამულ მეთოდური მითითებებით.

ბ) სისტემატურ მუშაობას აწარმოებს საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან: დახმარებას უწევს მათ ბავშვებთან ფიზკულტურული მეცადინეობისა და სიმღერების ჩატარებაში, საბავშვო დღესასწაულებისათვის მზადებაში და სხვ.

გ) კონსულტაციას უწევს მშობლებს ბავშვების მუსიკალური აღზრდის საკითხებზე.

დ) მუშაობს გეგმისა და გრაფიკის მიხედვით, რომელიც შეთანხმებული აქვს საბავშვო ბაღის გამგესთან, აწარმოებს თავისი მუშაობის აღრიცხვას.

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელი მუშაობს საბავშვო ბაღის გამგის ხელმძღვანელობით, აბარებს მას მუშაობის ანგარიშს, მონაწილეობას იღებს საბავშვო ბაღის გამგის მიერ მოწვეული პედაგოგიური თათბირებისა და რაიონის (ქალაქის) მეთოდური გაერთიანების მუშაობაში.

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელს სახალხო განათლების ორგანოების საბავშვო ბაღებში ნიშნავს და ხსნის სამუშაოდან რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება.

სხვა უწყებების საბავშვო ბაღებში მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელებს ნიშნავს და ხსნის სამუშაოდან შესაბამისი საწარ-

მოოს ან დაწესებულების ადმინისტრაცია რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით.

შრომითი შვებულება მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელისა, ისევე როგორც საბავშვო ბაღის აღმზრდელისა, 36 სამუშაო დღით განისაზღვრება.

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელს, როგორც საბავშვო ბაღის პედაგოგს, უფლება აქვს წელთა ნამსახურებისათვის პენსიის მიღებისა და შეღავათებით სარგებლობისა, რომლებიც დაწესებულია აღმზრდელებისათვის და პედაგოგიური შრომის სხვა მუშაკებისათვის საბავშვო ბაღში.

III. მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის სამუშაო დროის ნორმები და შრომის ანაზღაურება

„საბავშვო ბაღის მუშაკთათვის ხელფასის გადიდების შესახებ“ სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 3 ივნისის № 1270 დადგენილების საფუძველზე—მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელობისათვის დაწესებულია ხელფასის თვიური განაკვეთები განათლებისა და მუშაობის სტაჟის მიხედვით.

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელებად ყველა უწყების საბავშვო ბაღებში ინიშნებიან სპეციალური მუსიკალური განათლების მქონე პირები.

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელები, რომელთაც მიღებული აქვთ სპეციალური მუსიკალური განათლება, გათანაბრებული არიან პედაგოგიური განათლების მქონე აღმზრდელებთან.

„საბავშვო ბაღის მუშაკთათვის ხელფასის გადიდების შესახებ“ სსრკ-ს სახკომსაბჭოს 1945 წლის 3 ივნისის № 1270 დადგენილების 1, 2, 4, და 10 მუხლების შესაბამისად და „ულუფის ფასების ერთგვარ გადიდებასთან დაკავშირებით ხელფასის, პენსიების, დახმარებისა და სტიპენდიების გადიდების ჩატარების წესის შესახებ“.

სსრკ-ს ფინანსთა სამინისტროს 1946 წლის 18 სექტემბრის № 467 და საკავშირო პროფსაბჭოს № 1372 ინსტრუქციის თანახმად, მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელებისათვის დაწესებულია თანამდებობრივი ხელფასები შემდეგი ოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკთა კატეგორიები	ქალაქებში და მუშათა დასახლებულ ადგილებში				სოფლად			
	პედაგოგიური მუშაობის სტაჟი				პედაგოგიური მუშაობის სტაჟი			
მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელები	5 წლამ-დის	5—10 წლამდის	10 წელზე ზევით	25 წელი და მეტი	5 წლამ-დის	5—10 წლამდის	10 წელზე ზევით	25 წელი და მეტი
ა) უმაღლესი განათლებით (15%-ით მეტი ვიდრე საშ. განათლების მქონეებს)	502—50	531—25	560	596	445	473—75	502—50	542—75
ბ) საშუალო მუსიკალური განათლების (დამთავრებული)	450	475	500	540	400	425	450	485
გ) ზოგადი საშუალო განათლებით და დაუმთავრებელი საშუალო მუსიკალური განათლებით	400	425	450	540	360	385	410	485
დ) დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, როგორც მუსიკალურის, ისე ზოგადის . . . . . (10%-ით ნაკლები ვიდრე საშუალო განათლების მქონეებს)	380	402—50	415	446—50	335	357—50	380	407
ე) ზოგადი საშუალო განათლებით და დაუმთავრებელი საშუალი მუსიკალური განათლებით—15 წლისა და მეტი სტაჟით	—	—	500	540	—	—	450	485

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 3 ივნისის № 1270 დადგენილების (მუხლი 6) და ამ დადგენილების გატარების შესახებ სსრკ-ის ფინსახკომისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1945 წლის 3 ოქტომბრის (№ 581) ინსტრუქციის თანახმად, მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელებს თანამდებობრივი ხელფასები ეძლევათ დღეში 4 საათის, ანუ კვარაში 24 საათის მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის სამუშაო საათებში შედის უშუალო მუშაობა ბავშვებთან და მუშაობა აღმზრდელებთან სიმღერებისა და ფიზკულტურული ვარჯიშობების შესასწავლად, დღესასწაულებისათვის სამზადისი და სხვ.

განსაკუთრებულ რეჟიმიან საბავშვო ბაღებში (ტუბერკულიოზური ინტოქსიკაციით, უსინათლოთა და ყრუ-მუნჯ ბავშვებისათვის) მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელებისათვის თანამდებობრივი ხელფასები დაწესებულია საერთო ტიპის საბავშვო ბაღების შესატყვისი მუშაკების ხელფასებზე 25%-ით მეტი (სსრკ-ს სახკომსაბჭოს დადგენილება № 1270, მუხლი 11).

საერთო ტიპის საბავშვო ბაღებთან არსებულ ტუბერკულოზური ინტოქსიკაციით დაავადებულ ბავშვების ჯგუფებში მომუშავე მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელებს თანამდებობრივი ხელფასები ეძლევათ საერთო ტიპის საბავშვო ბაღების შესატყვისი მუშაკების ხელფასებზე 25%-ით მეტი (1945 წლის 3 ოქტომბრის ინსტრუქცია, მუხლი 20).

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელებს, რომელთაც დამსახურებული მასწავლებლის წოდება აქვთ ან მეცნიერული ხარისხი, თანამდებობრივი ხელფასის გარდა ეძლევათ 100 მანეთი თვეში (1945 წლის 3 ოქტომბრის ინსტრუქცია, მუხლი 22).

„საბავშვო ბაღების ქსელის გაშლისა და მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“ სსრკ-ის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 33 დადგენილების საფუძველზე, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებს და უწყებებს ნება ეძლევათ საბავშვო ბაღების ხარჯთაღრიცხვებში გაითვალისწინონ ასიგნობანი საბავშვო ბაღებში მუსიკალური აღზრდის მუშაკების ხელფასებისათვის (მუხლი 12).

სსრკ-ს სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომსაბჭოს მიერ 1939 წლის 7 თებერვლის № 99 დადგენილებით დამტკიცებულ ყველა უწყების საბავშვო ბაღის ტიპიურ შტატებში, თანახმად სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 1 ნოემბრის № 16122-ს განკარგულებისა, შემოღებულია მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის

თანამდებობა ანგარიშით — 0,25 საშტატო ერთეული თითოეულ ჯგუფზე, ანუ მთელი განაკვეთი ოთხკომპლექტიან საბავშვო ბაღში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის შრომის ორგანიზაცია

საბავშვო ბაღების საშტატო ცხრილებში და ხარჯთაღრიცხვებში მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურება გათვალისწინებული უნდა იყოს საბავშვო ბაღში ჯგუფების რაოდენობის მიხედვით, სახელდობრ:

	საბავშვო ბაღებში ჯგუფების შემდეგი რაოდენობით					
	1 ჯგუფი 25 ბავშ.	2 ჯგუფი 50 ბავშ.	3 ჯგუფი 75 ბავშ.	4 ჯგუფი 100 ბავშ.	5 ჯგუფი 125 ბავშ.	6 ჯგუფი 150 ბავშ.
განაკვეთილების რაოდენობით	0,25	0,5	0,75	1,0	1,25	1,5

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელი თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებთან ერთი კვირის მანძილზე ატარებს 2 საათალდებულო მეცადინეობას მთელ ჯგუფთან, თითოეულს, საშუალოდ, 1 საათის ხანგრძლიობით, ხოლო დამატებით 1 საათს უთმობს ბავშვების პატარ-პატარა ჯგუფებთან მუშაობას და აგრეთვე ინდივიდუალურ მუშაობას ცალკეულ ბავშვებთან, რომლებიც ჩამორჩენილი არიან საპროგრამო მასალის შეთვისებაში (ჯგუფში შუა წელიწადში მოსვლის გამო, ან ავადმყოფობის მიზეზით გაცდენასთან დაკავშირებით და სხვ).

სულ, თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებთან მუშაობას დაეთმობა საშუალოდ 3 საათი კვირაში.

თითოეული ჯგუფის აღმზრდელთან მუშაობას დაეთმობა საშუალოდ 2 საათი კვირაში;

იმისათვის, რომ დღესასწაულების ჩატარებისათვის სამზადისი გეგმიან ხასიათს ატარებდეს და საბავშვო ბაღის აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიულ ნაწილს წარმოადგენდეს, კვირაში თითოეულ ჯგუფზე 1 საათი გამოიყოფა დღესასწაულისათვის და მუსიკალური მეცადინეობებისათვის (მუსიკალური, მოძრაობითი და ლიტერატურული მასალის მოსამზადებლად).

მთლიანად, მუსიკალური აღზრდის მიზნით წარმოებულ მუშაობაზე, მუსიკალურ მუშაკს ეხარჯება კვირაში 6 საათი თითოეულ ჯგუფზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის ნორმაზე ზევით გადატვირთვა, რაც ჩვენს პრაქტიკაში არსებობს, აქვეითებს მუსიკალური მუშაობის ხარისხს და საშუალებას უსპობს მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელებს აიმაღლონ თავისი პედაგოგიურ და იდეურ-პოლიტიკური კვალიფიკაცია. ამიტომ, მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელის მუშაობა დასაშვებია არა უმეტეს 8 (რვა) ჯგუფთან, ხელფასით—2 განაკვეთამდის, რომელიც დადგენილი იქნება განათლებისა და მუშაობის სტაჟის მიხედვით.

მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელების მუშაობის გრაფიკს ამტკიცებს საბავშვო ბაღის გამგე, ხოლო თუ მუსიკალური აღზრდის ხელმძღვანელი რამდენიმე საბავშვო ბაღში მუშაობს, საჭიროა მორიგი შვებულების გრაფიკი და დრო დამტკიცებული იქნეს სახალხო განათლების განყოფილების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3012

საქართველოს სსრ განათლების საგინისტროსადმი
1948 წლის 23 სექტემბერი

აღვნიშნავ, რომ ქ. მოსკოვისა და ქ. ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდობის გაგზავნის მიზნით, წელს მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა ჩატარებული, მაგრამ იმის გამო, რომ ეს მუშაობა დაგვიანებით იქნა დაწყებული, მთელი შესაძლებლობანი სრულად ვერ იქნა გამოყენებული და საშუალო სკოლის 160 კურსდამთავრებულის ნაცვლად გაგზავნილ იქნა მხოლოდ 109.

მომავალში ქ. მოსკოვისა და ქ. ლენინგრადის ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდობის გაგზავნის საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენების მიზნით,

ბრძანებ:

1. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს სკოლების დირექტორების მეშვეობით ამთავითვე გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა საშუალო სკოლების XI კლასის მოსწავლეთა შორის ქ. მოსკოვისა და ქ. ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების მსურველთა შერჩევის მიზნით. განუმარტონ ამ კლასების მოსწავლეებს:

ა) თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის კარგად მომზადებულ ტექნიკურ კადრებს; ბ) რომ ქ. მოსკოვისა და ქ. ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლები საუკეთესოდ არიან მოწყობილნი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინრებს აბზადებენ; გ) გააცნონ მათ ამ სასწავლებლების პროფილები და მათი მიღების პირობები; დ) მჭიდრო კავშირი დაამყარონ მშობლებთან და ასეთივე მუშაობა ჩაატარონ მათთანაც.

2. განემარტოს XI კლასის მოსწავლეებს, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველთათვის გამოცდები ჩატარდება ქ. თბილისში და უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც გამოცდას „4"—„5"-ზე ჩააბარებენ.

3. იმ მიზნით, რათა ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნმა ახალგაზრდებმა ღრმად შეისწავლონ მათემატიკისა, ფიზიკისა და რუსული ენის კურსი, მათთვის სკოლებში მოეწყოს ინდივიდუალური კონსულტაციები, ხოლო ისეთ სკოლებში, რომლებშიაც ამ ახალგაზრდობის რიცხვი მნიშვნელოვანი იქნება დამატებითი მეცადინეობანი.

4. წინადადება მიეცეს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს:

ა) ქ. თბილისის ბერიას სახელობის მოსწავლეთა სასახლეში საშუალო სკოლების XI კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც გამოსთქვამენ მოსკოვ-ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების სურვილს, მოაწყოს საწრთო მუშაობა რუსულ ენასა, მათემატიკასა, ფიზიკასა და ქიმიაში;

ბ) უზრუნველჰყოს სკოლები და პიონერთა სასახლე მათემატიკასა და ფიზიკაში დამატებითი სავარჯიშო მასალით—სათანადო ამოცანებით.

5. დაევალოს საშუალო სკოლის სამმართველოს და უმაღლესი სკოლების განყოფილებას კონკრეტულად უხელმძღვანელონ მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში 1949-50 სასწავლო წელში ქართველი ახალგაზრდობის გაგზავნისათვის მზადების საქმეს და მისი მიმდინარეობის შესახებ ყოველ სასწავლო მეოთხედის ბოლოს მომახსენონ მე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3119

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 7 ოქტომბერი

ქ. თბილისის, ახალციხის, გორის, კასპის, მცხეთის, მახარაძის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სამტრედიის, ქუთაისისა და თბილისის რაიონების ზოგ სკოლაში 1948-49 სასწავლო წლის პირველი დღეების მიმდინარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. თბილისის, ახალციხის, გორის, სამტრედიის, მახარაძის, კასპის, ქუთაისის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონების მთელ რიგ სკოლებში ხარისხიანად და დროულად იქნა შეკეთებული სასკოლო შენობები და ინვენტარი, შეძენილ იქნა ახალი მერხები, მაგიდები, დაფები და კარადები, წესრიგში იქნა მოყვანილი სასკოლო კაბინეტები, ბიბლიოთეკები და სკოლის კარმიდამო, ზუსტად და დროულად აღირიცხა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი, უზრუნველყოფილი იქნა მათი სათანადო კლასებში ჩარიცხვა, სწორად იქნა შედგენილი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმები, გაკვეთილების ცხრილები, მოსწავლეებს დროულად მიეცა სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სასწავლო წელიც ორგანიზებულად დაიწყო.

მაგრამ ზოგ სკოლაში მეცადინეობის დაწყების დროისათვის ბევრი რამ არ იყო სათანადოდ მოგვარებული და მეცადინეობის ნორმალურად დაწყება შეფერხებულ იქნა. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის ლელიანის საშუალო და ზოგიერთ სხვა სკოლაში შეუკეთებელია შენობის სახურავი და წვიმიან ამინდში მეცადინეობა ფერხდება; თბილისის რაიონის ზოგ სკოლაში დგამავეჯის რემონტი არადამაკმაყოფილებელია; მერხების უქონლობის გამო კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის 22 კლასში, თითოეულ მერხზე სამ-სამი მოსწავლე ზის, ხოლო მახარაძის რაიონის ლიხაურის საშუალო სკოლის ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტებში მერხების უქონლობის

გამო მეცადინეობა არ მიმდინარეობს და ეს ოთახები ხელსაწყოიარაღების საწყობად არის გამოყენებული; ზოგიერთი სკოლა სათბობით მოუმარაგებელია,—მცხეთის რაიონის სკოლებიდან სათბობი აღმოაჩნდა მხოლოდ წილკნის საშუალო სკოლას. ა/წ 15 სექტემბრისათვის თბილისის რაიონის არცერთ სკოლაში სათბობი მოზიდული არ იყო. სათბობით ამ დროისათვის არ იყო უზრუნველყოფილი აგრეთვე ქ. თბილისის ვაჟთა მე-3, მე-14, მე-17, ქალთა 36-ე და ზოგიერთი სხვა სკოლები.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლებს მტკიცედ ჰქონდათ დავალებული სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სკოლაში უკლებლივ ჩაბმა, ამ დარგში ჯერ კიდევ სერიოზულ ჩამორჩენას აქვს ადგილი. მაგალითად, სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშუალო, ოფეთის, ყაზბეგის, ვ. სტურუას სახელობის კულაშის რვაწლიან სკოლებს ამ სასწავლო წლიდან უნდა ჩაერიცხათ წინაწლებში სკოლას ჩამოცილებული 41 მოსწავლე, ფაქტიურად ამ სკოლებში 5 ბავშვი ჩაირიცხა განთესილთაგან. ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის სასკოლო უბნიდან სწავლების გარეშე დარჩენილია 5 ბავშვი, ხოლო მცხეთის რაიონის ძალისის რვაწლიანი სკოლის სასკოლო უბნიდან—13 ბავშვი. ძალისის რვაწლიან სკოლაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების მხრივ: 20—23 სექტემბერს 390 მოსწავლეთაგან მეცადინეობაზე არ გამოცხადდა 87 მოსწავლე, ე. ი. 22,3%. ამავე რაიონის მუხრანის საშუალო სკოლაში ოთხი დღის განმავლობაში 149 მოსწავლის მიერ არასაპატიო მიზეზით 1128 გაკვეთილია გაცდენილი. ქ. თბილისის ვაჟთა 26-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის 20 მოსწავლიდან პირველ სექტემბერს მეცადინეობაზე მხოლოდ 13 მოსწავლე გამოცხადდა და ა. შ.

ბევრგან არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. სამტრედიის ქალთა და სამტრედიის რაიონის კულაშისა და ღანირის საშუალო სკოლებში ფიზიკასა და ქიმიას მე-5 და მე-6 გაკვეთილები აქვს დათმობილი, ხოლო ხაზვასა და ფიზკულტურას—მე-2 და მე-3 გაკვეთილები. კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის XI კლასში ფიზიკის ორი საათი და X კლასში ერთი საათი ისწავლება მე-6 გაკვეთილებზე. ქ. თბილისის ვაჟთა მე-6 სკოლის მე-5 კლასებში გეოგრაფიის სწავლება სწარმოებს მე 6 გაკვეთილებზე, ხოლო ხატვის პირველ და მეორე გაკვეთილებზე. ასეთივე დეფექტები ახასიათებს ქ. თბილისის ვაჟთა 26-ე, ქალთა 34-ე, 46-ე, ვარდისუბნის, ლაგოდეხის რუსულ და ქ. გორის ქალთა მე-2 და მე-3 საშუალო სკოლების სამეცადინო ცხრილებს;

ზოგ სკოლაში არ იყო შედგენილი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმები. სამტრედიის ვაჟთა საშუალო და სამტრედიის რაიონის ეწერმელაურის რვაწლიან სკოლებს 4 სექტემბრისათვის, ხოლო გორის რუსულ საშუალო სკოლას 23 სექტემბრისათვის არ ქონდათ შედგენილი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო გეგმები. არ ქონდათ აგრეთვე შედგენილი სამუშაო გეგმები 23 IX. მცხეთის რაიონის წილკნის საშუალო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემათიკის და სხვა საგნის მასწავლებლებს.

მიუხედავად იმისა, რომ კასპის რაიონის ახალქალაქის, კასპისა და სასირეთის საშუალო სკოლებში პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სადირექტივო წერილის „სკოლების ამოცანების შესახებ 1948-49 სასწავლო წელს“ შესაბამისად დაუსახავთ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები, სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯები წერილში დასახული ამოცანების შესრულებისათვის. სასირეთისა და კასპის საშუალო სკოლაში ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყო-იარაღები და პრეპარატები სამასწავლებლოსა და საკლასო ოთახების ღია კარადებშია შენახული, ხოლო ნაწილი იარაღებისა სხვადასხვა ოთახებშია გაფანტული: სასირეთის საშუალო სკოლაში გოგირდმჟავა და მარილმჟავა აღმოჩნდა კარადის თავზე შეყრილი რვეულებსა და წიგნებში, ხოლო ტესლას ტრანსფორმატორი დაჟანგული და ნაწილებ-დაკარგული იატაკზე, კუთხეში იყო მიგდებული.

ზოგიერთი განათლების განყოფილებისა და სკოლის დირექტორის უმოქმედობისა და დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, გამოცემული სახელმძღვანელო წიგნები მოსწავლეებს ჯერაც არ მიუღიათ. მაგალითად, მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლამ სწავლის დაწყებიდან 18 დღის განმავლობაში ვერ შესძლო სახელმძღვანელო წიგნების მიღება რაიონის კოოპერატიული კავშირის მაღაზიიდან. სახელმძღვანელო წიგნების განაწილებისა და მათი სკოლებამდე დაყვანის საქმეში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე ლაგოდეხის რაიონში. ლაგოდეხის რუსულ საშუალო სკოლის მე-4 კლასის არცერთ მოსწავლეს ქართული ენის სახელმძღვანელო არ გააჩნია, რაიონში კი ეს სახელმძღვანელო 278 მოსწავლეზე 195 ცალია მიღებული.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა ცუდად დაიწყო სასწავლო წელი. გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარე-

ბენ, რის გამოც მოსწავლეები გავლილი მასალის ზერელე ცოდნას ამჟღავნებენ. ასე მაგალითად, წილკნის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეები ქართულ ენაში ვერ არჩევენ ზმნას სახელისაგან (მასწ. ე. ბარათოვი) ამავე სკოლის მე-7 კლასის მასწავლებელი ე. ნაუამ-ვილი პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას არადამაკმაყოფილებლად ასწავლის და მთელ რიგ საკითხებზე მოსწავლეები არასწორ განმარტებებს იძლევიან. მაგალითად, „მოქმედებითი გვარის ზმნა თვითონ მოქმედებს“, „რომ გავიგოთ ზმნა გარდამავალია თუ არა, უნდა დავაყენოთ ახლანდელში“. შეკითხვაზე დაასახელეთ მოქმედებითი გვარის ზმნა, მოსწავლე პასუხობს „ბავშვი“. ამავე მასწავლებელმა მე-8 კლასში 25 სექტემბრამდე ერთი წერა ჩააჭარა და ისიც იმდენად მოუმზადებლად, რომ 26 მოსწავლიდან 9 მოსწავლეს სრულებით არ უწერია, ხოლო დანარჩენთაგან თემა მხოლოდ 3 მოსწავლემ დაამთავრა. დაუდევრობას იჩენს წერითი მუშაობისადმი ძალისის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. კიკნაძე. ამ სკოლის მე-6 კლასების 46 მოსწავლეთაგან 16 სექტემბერს წერითი სამუშაო მხოლოდ 14 მოსწავლემ შეასრულა. მუხრანის საშუალო სკოლის მასწავლებელს მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის საკონტროლო წერით სამუშაოდ იგივე თემა მიუცია, რაც მოსწავლეებს საშინაო დავალებად ქონდათ მიცემული. ამავე სკოლის მე-5 კლასის 45 მოსწავლისაგან 23 მოსწავლე სისტემატურად ღებულობს ნიშან „2“-ს. მასწავლებელი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარ ზომებს არ ღებულობს. მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი გულდამშვიდებულად უყურებს მე-5 კლასის 32 მოსწავლიდან 13 მოსწავლის მიერ საშინაო დავალების შეუსრულებლობას.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რუსული ენის სწავლების საქმეში ახალციხის რაიონის ზიკილიისა და აწყურის საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში. აღნიშნული კლასების მასწავლებლები არ არიან დაუფლებული რუსულ ენას, ისინი მოკლებული არიან მოსწავლეებთან რუსულად საუბრის ჩატარების საშუალებას, რის გამოც მოსწავლეებს არა აქვთ სიტყვების საკმაო მარაგი, არ ესმით მარტივი საუბარი, ვერ არიან დაუფლებული კითხვის ტექნიკას და უძნელდებათ მახვილის სწორად დასმა. რუსული ენის სწავლება სუსტადაა დაყენებული აგრეთვე ძალისის რვაწლიან სკოლაში. ამ სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა არ აციან გავლილი მასალა, წარმოდგენა არა აქვთ არსებითი სახელის ბრუნებაზე, არ შეუძლიათ მა-

გალითების მოტანა და მარტივ წინადადებათა გარჩევა. რუსულ ენასა და ლიტერატურაში ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს აგრეთვე სამტრედიის რაიონის ღანირის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. გ. ნიკოლაიშვილი) ამ კლასის 10 მოსწავლეს არ ქონდა წაკითხული წინა გაკვეთილი „ტოლსტოის ბიოგრაფია“.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გეოგრაფიის სწავლების საქმე სამტრედიის რაიონის ეწერ-მელაურის რვაწლიან სკოლაში, მასწავლებელი ა. ზამთარაძე სუსტად მუშაობს თავისთავზე, მას 8 სექტემბერს არ ქონდა შედგენილი არც თემატიკური და არც გაკვეთილის გეგმა; მე-8 კლასში წინა გაკვეთილის მასალა—„სსრ კავშირის გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები—არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა. ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები არ არიან დაუფლებული რუკის კითხვას. გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობამ რუკაზე ვერ უჩვენა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვა, მდინარე რეინი, ოდერი და სხვა.

ყასპის რაიონის სასირეთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი დ. მამაკაიშვილი მე-10 კლასში არასაპროგრამო მასალას გადის; კლასს გაკვეთილად მიცემული ქონდა „დედამიწის მიერ მთვარის მიზიდვა“.

ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო გაკვეთილის მოყოლა. მათი აზრით, „ყველა სხეული მიიზიდება დედამიწისაკენ იმიტომ, რომ დედამიწა წარმოადგენს სიმძიმის ცენტრს“, ამას ნიუტონის I კანონს უწოდებენ, ხოლო დედამიწის მიერ სხეულების მიზიდვას—ნიუტონის II კანონს. ფიზიკაში ძალზე სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს აგრეთვე ახალქალაქის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწ. რ. ბეგლაროვი) მოსწავლეებმა. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო წრედის გასწვრივ პოტენციალის ცვალებადობის გარკვევა, არ ესმით რას ეწოდება წრედი, ამახინჯებენ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს. მაგალითად, ნაცვლად გენერატორისა ხმაროობენ „რეგენატორებს“, ელექტრო ტევადობის ერთეულად მიჩნეული აქვთ ვოლტი და სხვა. ამ სკოლებში სრულიად უგულებელყოფილია ფიზიკის თვალსაჩინო სწავლების საქმე. სასწავლო წლის დასაწყისიდან 25 სექტემბრამდე არცერთი ცდა არაა ჩატარებული. ფიზიკაში გავლილი მასალის სუსტი ცოდნა გამოიჩინეს მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა, მათ არ იციან კანონები სხეულების სითბური გაფართოების შესახებ, ვერ ერკვევიან სითბოს გადაცემის სახეებში და სხვა.

ქიმიაში ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს ახალქალაქის საშუალო სკოლის (მასწ. ი. ტლაშაძე) მე-10 კლასის მოსწავლეებმა, მათ არ იციან ელემენტების ვალენტობის გამოთვლა ქიმიურ ნაერთებში, ვერ გამოთვალეს ორთო-ფოსფორის მჟავაში ფოსფორისა და გოგირდმჟავაში გოგირდის ვალენტობა. ვერ განმარტეს ნახშირმჟავას ნორმალური და ჰიდრო მარილები. ამ სკოლის XI კლასის მოსწავლეებს სუსტად აქვთ შეთვისებული გაზების გრამ-მოლეკულური მოცულობა, ვერ განასხვავეს ერთმანეთისაგან ატომი და იონი, არ იციან პერიოდული სისტემიდან ძირითადი საკითხები.

ვბრძანებ:

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა 1948 წლის 30 ოქტომბრამდე შეამოწმონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სადირექტივო წერილის „სკოლების ამოცანების შესახებ 1948-49 სასწავლო წელს“ შესრულების მიმდინარეობა, მიიღონ საჭირო ზომები ხაკლოვანებათა გამოსასწორებლად და შედეგების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მატერიალური ფონდების განყოფილებას ხუთი დღის ვადაში უზრუნველყოს ზოგიერთი რაიონებისათვის სახელმძღვანელოებისა და პროგრამების დაგზავნის დაშვებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება და სისტემატური კონტროლი დააწესოს ადგილებამდე სახელმძღვანელოებისა და ყველა სხვა სასწავლო ნივთის დანიშნულებისამებრ და დროულად დაყვანაზე.

3. სახელმძღვანელო წიგნების დროულად მიუღებლობისათვის გაფრთხილება მიეცეს მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლის დირექტორს მელიტონ ფაცურიას.

4. გაკვეთილის მოუმზადებლად ჩატარებისათვის მიეთითოს: ა) მცხეთის რაიონის წილკნის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ელენე ბარათოვსა და ე. ნაუაშვილს, ბ) სამტრედიის რაიონის ეწერ-მელაურის რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს ა. ზამთარაძეს, გ) კასპის რაიონის სასირეთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს დ. მამაკაიშვილს და დ) ამავე რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს ირა ტლაშაძეს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ 1 ნოემბრამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება გამოკვლეულ რაიონებსა და სკოლებში და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

6. ეს ბრძანება განხილულ იქნას ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბერაზაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3240

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1948 წლის 20 ოქტომბერი

გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „სახალხო განათლების“ მეათასე ნომრის გამოსვლასა და დაარსებიდან 20 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით პედაგოგიური გაზეთის რედაქციაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური თანამშრომლობისათვის დაჯილდოვდნენ სამკერდე ნიშნით,— „სახალხო განათლების წარჩინებული“:

1. **მგალობლიშვილი ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე**—რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი;

2. **ცაიშვილი სოლომონ მაქსიმეს-ძე**—მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე;

3. **კეკელიძე მიხეილ სევერიანეს-ძე** — სასკოლო მეთოდური განყოფილების გამგე;

4. **თოფურია აკაკი სარდიონის-ძე** — სახალხო განათლების ხელმძღვანელ ორგანოებისა და უმაღლესი სკოლების განყოფილების გამგე;

5. **თაბუკაშვილი დავით ტრიფონის-ძე**—წერილებისა და კორესპონდენტთა ქსელის განყოფილების გამგე;

6. **ლორთქიფანიძე დავით ონისიმეს-ძე**—გაზეთის აქტიური თანამშრომელი;

7. **ჭანიშვილი პარმენ გიტოს-ძე**—რედაქციის ყოფილი მუშაკი;

8. **ზამბახიძე ვლადიმერ ნიკიფორეს-ძე** რედაქციის ყოფილი მუშაკი;

9. **დადიანი ალექსანდრე ბეჟლარის-ძე**—რედაქციის ყოფილი მუშაკი;

10. **თათარიშვილი ბენედიკტე კალისტრატეს-ძე**—რედაქციის ყოფილი მუშაკი;

11. ხოზრევანიძე ქელეშ ქამირის-ძე—საკუთარი კორესპონდენტი ხულოს რაიონში;

12. მიქავა ალექსანდრე ლუკას-ძე—საკუთარი კორესპონდენტი წალენჯიხის რაიონში;

13. ვარლამიშვილი ივანე გრიგოლის-ძე—საკუთარი კორესპონდენტი ქ. ქუთაისში.

14. ჭოჭუა მიხეილ ეპიფანეს-ძე—საკუთარი კორესპონდენტი ოჩამჩირის რაიონში;

15. ჩუბინიძე ნიკოლოზ მელიტონის-ძე—საკუთარი კორესპონდენტი გორის რაიონში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

პ/მგ. რედაქტორი მ. ბურჭულაძე

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5

უე16922. ტირაჟი 2000. შეკვეთა № 2048.